



**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების
მქონე მოსწავლეთა
ასაკობრივი განვითარების თავისებურებები და
პრობლემური ქცევის პრევენცია**

გზამკვლევი

2021

გზამკვლევი სპეციალური მასწავლებლების, საგნის მასწავლებლების, ინკლუზიური განათლების სფეროს სპეციალისტების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

გზამკვლევზე მუშაობდნენ:

თამარ მუმლაძე - ფსიქოლოგი, პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკის მაგისტრი,
გზამკვლევის ავტორი

ნინო მიქაია - ფსიქოლოგი, განათლების ადმინისტრირების მაგისტრი,
გზამკვლევის ავტორი

თამარ ისაკაძე - ფსიქოლოგი, განათლების სისტემის ფსიქოლოგიის მაგისტრი,
გზამკვლევის კონსულტანტი

თამარ ჟღენტი - ინკლუზიური განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი,
გზამკვლევის კონსულტანტი

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ „ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

შინაარსი

შესავალი -----	3
სექსუალური განათლება და მისი მნიშვნელობა-----	5
საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების ანალიზი -----	9
ბავშვის სექსუალური განვითარება და ასაკობრივი თავისებურებები-----	13
სექსუალური განვითარების თავისებურებები განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში -----	24
პრობლემური სექსუალური ქცევა-----	31
ბავშვთან დაკავშირებული პირების როლი -----	39
რეაგირების/მართვის სტრატეგიები პრობლემური სექსუალური ქცევების დროს -----	49
ბავშვების ინფორმირება ასაკობრივი და განვითარების დონის გათვალისწინებით-----	62
სექსუალური ძალადობა, მოწყვლადი ჯგუფები და მათი დაცვა-----	70

შესავალი

მაშინ, როდესაც 21-ე საუკუნეში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სექსუალური განათლება არასრულწლოვანთა განათლების განუყოფელი ნაწილია, საქართველოში ბავშვებისათვის სათანადო სექსუალური განათლების უზრუნველყოფა და საჭირო ინფორმაციის მიწოდების საკითხი დღესაც გამოწვევად რჩება. საზოგადოებაში კვლავ არსებობს არასწორი შეხედულებები არასრულწლოვანთა სექსუალურ განათლებაზე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია სექსუალური განათლების სწორად დანერგვასა და განვითარებაში.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ზრდასრულთა, როგორც მშობლების, ისე სკოლის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება და აღჭურვა შესაბამისი ცოდნით, რათა მათ უკეთესად შეძლონ ბავშვის ასაკობრივი საჭიროებების დანახვა და სათანადოდ დაკმაყოფილება.

დღეისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რიცხვი, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია სკოლამდელი და ზოგადი განათლება. საგანმანათლებლო სისტემა მათ სთავაზობს საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროგრამებს. ინკლუზიური განათლების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, საბავშვო ბაღებისა და სკოლების თანამშრომლებს ჰქონდეთ სათანადო ცოდნა და მზაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებებთან გამკლავებისთვის, მათ შორის სექსუალური განვითარებისა და სექსუალური ქცევის მართვის თვალსაზრისით. რამდენადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მოწყვლადობა ძალადობისადმი, მათ შორის სექსუალური ძალადობისადმი, განსაკუთრებით დიდია,

უმნიშვნელოვანესია გარემომცოფების როლი მათი დაცვის პროცესში, რაც ასევე სათანადო კომპეტენციას საჭიროებს.

ზემოხსენებული გამოწვევების საპასუხოდ შეიქმნა მოცემული გზამკვლევი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც თეორიული მასალა, ისე პრაქტიკული რეკომენდაციები. გზამკვლევში წარმოდგენილი ინფორმაცია საინტერესო და სასარგებლო იქნება როგორც მშობლებისთვის, ისე ბავშვებთან მომუშავე სხვადასხვა სპეციალისტებისთვის: სპეციალური მასწავლებლებისთვის, საგნის მასწავლებლებისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ინდივიდუალური ასისტენტებისთვის და სხვ.

სექსუალური განათლება და მისი მნიშვნელობა



მაშინ როდესაც, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ბავშვებისა და მოზარდებისთვის სექსუალური განათლების მიწოდებას, სხვა ჯგუფებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული, საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნიათ. ამის ერთ-ერთ მიზეზს, შესაძლოა, სექსუალური განათლების მიზნებისა და შინაარსის არასწორი ინტერპრეტაცია წარმოადგენდეს.

სექსუალური განათლების მიზანია, ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გაცნობიერებული, მათთვის სასურველი და ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღება შეძლონ ურთიერთობებთან, სექსუალობასთან, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან მიმართებაში.

სექსუალური განათლების არსის სიღრმისეულად განხილვამდე განვმარტოთ ტერმინები - სექსუალობა, სექსუალური ჯანმრთელობა და უფლებები, სექსუალური განათლება.

სექსუალობა - მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული განმარტებით, სექსუალობა არის ფართო ცნება, რომელიც წარმოადგენს ინდივიდის განვითარების ერთ-ერთ სფეროს და მოიცავს, როგორც ფიზიკურ, ასევე, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომპონენტებს.

სექსუალური ჯანმრთელობა და უფლებები - სექსუალური ჯანმრთელობა გულისხმობს სექსუალობასთან დაკავშირებულ ფიზიკურ, ემოციურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობას, სექსუალობის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სექსუალური ჯანმრთელობა, აუცილებელია, დაცული იყოს ინდივიდის უფლებები.

სექსუალური განათლება - სექსუალური განათლება არის სწავლება სექსუალობის შემეცნებითი, ემოციური, სოციალური და ფიზიკური ასპექტების შესახებ. იუნესკოს „სექსუალური განათლების შესახებ ტექნიკური გზამკვლევის“ თანახმად, სექსუალური განათლება არის ასაკის შესაფერისი, კულტურაზე მორგებული სწავლება სექსუალური განვითარების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდებისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ზუსტი, რეალისტური ინფორმაციის მიწოდებას. ევროპის სექსუალური განათლების სტანდარტის თანახმად, ჰოლისტური/მთლიანობითი სექსუალური განათლება გულისხმობს სექსუალობის შემეცნებითი, ემოციური, სოციალური და ფიზიკური ასპექტების შესახებ ინფორმაციის მიღებას. სექსუალური განათლება იწყება ადრეულ ასაკში და გრძელდება მოზარდობისა და ზრდასრულობის განმავლობაში. ბავშვებისა და მოზარდების შემთხვევაში, მიზანია, სექსუალური განვითარების ხელშეწყობა და დაცვა. ეტაპობრივად, ასაკის მატებასთან ერთად, სექსუალური განათლების მეშვეობით, ბავშვები და ახალგაზრდები იძენენ ინფორმაციას, უნარებს და ივითარებენ პოზიტიურ ღირებულებებს, შედეგად კი უკეთ ესმით საკუთარი სექსუალობა, აქვთ უსაფრთხო ურთიერთობები და პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარი და სხვა ადამიანების სექსუალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან მიმართებაში.

როგორც მოცემული განმარტებებიდან ჩანს, სექსუალური განათლება იმაზე მეტია, ვიდრე ბავშვებისა და მოზარდების ინფორმირება ანატომიასა და ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ჩვეულებრივ, ის ისეთ ფართო თემატიკას ფარავს, როგორცაა სექსუალური განვითარება, ინტერპერსონალური ურთიერთობები, ინტიმურობა, სხეულის დადებითი ხატის

ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბავშვებისა და ახალგაზრდების მომზადებას ზრდასრულობაში სტაბილური, სასურველი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.

სექსუალური განათლების მნიშვნელობის შესახებ, გარდა ზემოთ აღწერილი არგუმენტებისა, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ თანამედროვე ეპოქაში ბავშვები და მოზარდები იღებენ დიდი რაოდენობის ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან. თუმცა, სექსუალობისა და სექსუალური განვითარების შესახებ მიღებული ინფორმაციის დიდი ნაწილი, შესაძლოა იყოს არასწორი, არ შეესაბამებოდეს რეალობას. შესაბამისად, სექსუალური განათლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს დამაბნეველი, არასწორი ინფორმაციის მიღების შედეგად ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების ცვლილება წარმოადგენს.

ამასთანავე, სექსუალური განათლების დეფიციტი, ან/და არასწორი ინფორმაცია არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობის რისკს ზრდის. შესაბამისად, სექსუალური განათლება ძალადობის რისკების შემცირების ერთ-ერთი პრევენციული საშუალებაა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ვსაუბრობთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მოზარდებზე, ვინაიდან, ძალადობის რისკი ტიპური განვითარების თანატოლებთან შედარებით კიდევ უფრო მაღალია.

ამრიგად, ბავშვებისა და მოზარდებისთვის სექსუალური განათლების მიწოდების მთავარ მიზანს, მათი სექსუალური განვითარების ხელშეწყობა და დაცვა წარმოადგენს. ამის მიუხედავად, საზოგადოების გარკვეული ნაწილი საჭიროდ არ თვლის სექსუალური განვითარებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ბავშვებისა და მოზარდების ინფორმირებას, რასაც საფუძვლად სხვადასხვა გავრცელებული მოსაზრება უდევს. ქვემოთ წარმოდგენილია გავრცელებული მითები და სექსუალური განათლების შესახებ არსებული ფაქტები.

სექსუალური განათლების შესახებ გავრცელებული მითები და ფაქტები

მითი: სექსუალური

განათლების პროგრამების მეშვეობით, ბავშვებისა და მოზარდებისთვის ასაკის შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდება ხდება.

ფაქტი: სექსუალური განათლება უზრუნველყოფს ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, ბავშვის/მოზარდის განვითარების ეტაპის გათვალისწინებით. ამასთანავე, სექსუალური განათლების პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს და მორგებული იყოს ოჯახის/სოციუმის კულტურულ, რელიგიურ ღირებულებებზე.

მითი: სექსუალური განათლება

მხოლოდ სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს ფარავს.

ფაქტი: სექსუალური განათლება კეთილდღეობის მთლიანობით მიდგომას ეფუძნება, რომელიც ფიზიკური, ფსიქიკური, ინტერპერსონალური ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ისახავს მიზნად.

მითი: სექსუალური განათლება

მოზარდებს ადრეული სექსუალური კავშირების დამყარებისკენ უბიძგებს

ფაქტი: კვლევების თანახმად, სექსუალური განათლების პროგრამები მოზარდებს სექსუალური ცხოვრების დაწყების გადავადებაში ეხმარება

საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების ანალიზი

მოცემული თავი ასახავს სექსუალური განათლების სწავლების გამოცდილების მქონე სამი ევროპული ქვეყნის მოდელების აღწერას. 2018 წელს გერმანიის ჯანმრთელობის განათლების ფედერალური ცენტრის (German Federal Centre for Health Education) მიერ საერთაშორისო მშობელთა ფედერაციის ევროპულ ქსელთან (the International Planned Parenthood Federation – European Network) თანამშრომლობით შეფასდა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში სექსუალური განათლების მდგომარეობა. სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ინფორმაცია მოპოვებულ იქნა როგორც სამთავრობო ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან. შეფასების შედეგად მიღებული შედეგები ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. ანგარიშში განხილულია, როგორც წარმატებული მოდელის, ასევე, ნაკლებად წარმატებული მოდელის მქონე ქვეყნები. ჩვენს მიერ მოცემულ ქვეთავში განხილული იქნება სექსუალური განათლების სამი წარმატებული მოდელი. აღნიშნული ქვეყნების სოციალური, კულტურული, რელიგიური კონტექსტი და შესაბამისად, ხედვა სექსუალური განათლების შინაარსის და მიწოდების ფორმების შესახებ, საქართველოს რეალობისგან განსხვავებულია. თუმცა, სხვა ქვეყნების მოდელების განხილვა საშუალებას იძლევა წარმოდგენა შევიქმნათ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის, პროფესიონალთა მომზადებისა და სექსუალური განათლების შინაარსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ნიდერლანდები

ნიდერლანდებში სექსუალური განათლება დაწყებითი და საშუალო სკოლებისთვის რეგულირდება 2012 წელს მიღებული „საგანმანათლებლო მიზნების შესახებ“ კანონით. ასევე, არსებობს „კანონი სკოლის უსაფრთხოების შესახებ“ (2015 წ.), რომელშიც სექსუალური განათლება ექსპლიციტურად არ არის ნახსენები, თუმცა, აღნიშნული კანონის თანახმად,

სკოლებმა უნდა უზრუნველყონ სკოლებში მოსწავლეთა სოციალური უსაფრთხოება, მათ შორის მოახდინონ სექსუალური შევიწროებისა და ჰომოფობიის პრევენცია.

ქვეყანას აქვს ჩარჩო დოკუმენტი და შესაბამისი გზამკვლევები, სექსუალური განათლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ინფორმაციას შემდეგი სფეროების მიხედვით: „ურთიერთობები და სექსუალობა“, „სექსუალობა და სექსუალური მრავალფეროვნება“. აღნიშნული შინაარსი ინტეგრირებულია სხვადასხვა საგანში, როგორცაა, ბიოლოგია, სამოქალაქო განათლება, სოციოლოგია. სკოლებს კი ენიჭებათ თავისუფლება თავად განსაზღვრონ, როგორ დაგეგმავნ და განახორციელებენ სწავლებას. მთავარია, სწავლებისას გათვალისწინებულ იქნას ეროვნული სასწავლო მიზნები.

აღსანიშნავია, რომ სკოლებს სათანადო მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას მუნიციპალური ჯანდაცვის ცენტრები უწევენ - უზრუნველყოფენ შესაბამისი მასალით, რჩევებით და ამზადებენ მასწავლებლებს. შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები ეყრდნობიან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ სტანდარტს სექსუალური განათლების შესახებ. აღნიშნული სტანდარტი ითარგმნა და ადაპტირდა ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

ფინეთი

სექსუალური განათლება სავალდებულოა ფინეთის ყველა დაწყებით და საშუალო სკოლაში. თუმცა, არ ისწავლება, როგორც დამოუკიდებელი საგანი - ის ინტეგრირებულია სხვა საგნებთან, რომელთა სწავლებაც სავალდებულოა. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სექსუალური განათლების მიზნები და ძირითადი შინაარსი, აგრეთვე, ოჯახებთან თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები. სასწავლო გეგმა შემუშავებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სექსუალური განათლების შესახებ სტანდარტზე დაყრდნობით.

განათლების სამინისტრო და ფინეთის განათლების ეროვნული საბჭო სასწავლო გეგმის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაზე არის პასუხისმგებელი, მუნიციპალიტეტები და სკოლები კი - სკოლის სასწავლო გეგმის შედგენაზე. სასწავლო გეგმის შემუშავებაში ასევე ჩართული არიან განათლების ექსპერტები, მასწავლებლები, ჯანდაცვის მუშაკები და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმის გადახედვა ფინეთში დაახლოებით 10 წელიწადში ერთხელ ხორციელდება. სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია მოსწავლეებისთვის ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სექსუალური ჯანმრთელობის სხვადასხვა ასპექტის და სექსუალური განვითარების შესახებ. დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასი) სასწავლო პროგრამა ინტეგრირებულია საგანში - „გარემოს შესწავლა“. საშუალო საფეხურის შემთხვევაში კი საგანში - „განათლება ჯანმრთელობის შესახებ“. აღნიშნული საგანი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა: ზრდა და განვითარება; ჯანმრთელობის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, დაავადებების პრევენცია; ჯანმრთელობა, თემი, სოციუმი და კულტურა.

რაც შეეხება მასწავლებელთა მომზადებას, თითოეული მასწავლებელი გადის სექსუალური განათლების კურსს საუნივერსიტეტო პროგრამის ფარგლებში.

შვედეთი

შვედეთი არის პირველი ქვეყანა, რომელმაც სექსუალური განათლება სკოლებში სავალდებულო გახადა 1955 წელს. მას შემდეგ სექსუალური განათლების საგანმა ბევრი ცვლილება განიცადა, განხორციელდა ახალი ელემენტების ჩართვა და საზოგადოების ახალი ხედვების ასახვა. დღეისათვის სექსუალური განათლება სრულად ინტეგრირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და მისი სწავლება სხვადასხვა საგნების მეშვეობით ხორციელდება.

სწავლება ემყარება გენდერული თანასწორობის შესახებ 2010 წლის საგანმანათლებლო აქტს, რომლის თანახმად, სკოლებმა აქტიურად უნდა მოახდინონ ორივე სქესის თანაბარი უფლებების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო აქტზე დაყრდნობით შემუშავდა ორი სასწავლო გეგმა: სკოლამდელი აღზრდის, სკოლისა და რეკრეაციული ცენტრებისთვის და საშუალო სკოლებისთვის.

საგნის დასახელება არის: „განათლება სექსუალობისა და ურთიერთობების შესახებ“. ის ინტეგრირებულია დაწყებითი და საშუალო სკოლების რამდენიმე კურსსა და საგნობრივ პროგრამაში. შესაბამისად, რამდენიმე საგნის მასწავლებლებს აქვთ სექსუალური განათლების პროგრამაში ჩართვის და სწავლების განხორციელების ვალდებულება. მაგალითად, საგანში - ბიოლოგია და მეცნიერება, ისწავლება თემები: ადამიანის სხეული, რეპროდუქცია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები.

შვედეთის პარლამენტი და მთავრობა სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო განათლების მიზნებს განათლების აქტისა და სასწავლო გეგმის მეშვეობით განსაზღვრავს. განათლების ეროვნული სააგენტო კი პასუხისმგებელია დასახული მიზნების მიღწევაზე. მუნიციპალიტეტების და სკოლების მიერ ხდება რესურსების მოძიება და აქტივობების ორგანიზება, რათა მიღწეულ იქნას ეროვნული მიზნები. ეროვნული სააგენტო ზედამხედველობას უწევს სკოლების მუშაობას, განსაზღვრავს სილაბუსს, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ დასტურდება. ამასთანავე, სექსუალური განათლების მიწოდების პროცესში ისეთ საკონსულტაციო ჯგუფებსაც შეაქვთ წვლილი, როგორცაა, მაგალითად, პროფესიონალთა და ახალგაზრდების ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.

საქართველო

ბოლო წლებში რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებას ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში, გასულ წლებთან შედარებით, მეტი ყურადღება ეთმობა. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში რიგი საკითხები ინტეგრირებულია სხვადასხვა საგნებში, მაგალითად, როგორცაა: ბიოლოგია და სამოქალაქო განათლება. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ზრდასრულთა მხრიდან ხშირად არასწორად არის გაგებული სექსუალური განათლების არსი. ხშირად მშობლებმა, მასწავლებლებმა და ბავშვთან დაკავშირებულმა სხვა პირებმა არ იციან რა და როგორ უნდა უთხრან ამა თუ იმ საკითხით დაინტერესებულ არასრულწლოვნებს, თავს უხერხულად გრძნობენ და შექმნილი დისკომფორტის გამო გაურბიან კითხვაზე პასუხის გაცემას, შედეგად, არასრულწლოვანს უყალიბდება მცდარი წარმოდგენები, უჩნდება კითხვების დასმის შიში, ინფორმაციის მოპოვებას სანდო პირების გვერდის ავლით ცდილობს და ამით რიგი საფრთხეების წინაშე დგება.

ბავშვის სექსუალური განვითარება და ასაკობრივი თავისებურებები



ბავშვის განვითარების შესახებ არსებულ სახელმძღვანელოებში, სადაც დეტალურად არის განხილული ფიზიკური, მოტორული, კოგნიტური, სოციალური, ემოციური განვითარების სფეროები, იშვიათად შევხვდებით ამომწურავ ინფორმაციას ბავშვის სექსუალური განვითარების შესახებ. შედეგად ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება მშობლებისა და ბავშვებთან მომუშავე პირებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის გენიტალიების ჩამოყალიბება მუცლადყოფნის პერიოდში ხდება, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის კომპლექსური სექსუალური განვითარება იწყება დაბადებიდან. სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებული ცვლილებები განსაკუთრებით

თვალსაჩინოა მოზარდობის ასაკში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე განვითარება არ ხდება. სექსუალური განვითარება მოიცავს არა მარტო ორგანიზმის ფიზიკურ, ანატომიურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, არამედ, ასევე ცვლილებებს ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევების კუთხით, რაც უწყვეტად მიმდინარეობს ჩვილობის ასაკიდანვე.

ბავშვის სექსუალური განვითარება გარკვეულწილად კავშირშია განვითარების სხვა სფეროებთან. ამასთან, ასაკისა და განვითარების სხვადასხვა სფეროს სიმწიფის ხარისხის გარდა სექსუალურ საკითხებზე ბავშვის ცოდნასა და ქცევებზე მნიშვნელოვან გავლენას ისეთი ფაქტორები ახდენს, როგორებიცაა:

- **დაკვირვებადი გარემო** - რასაც ხედავს ბავშვი მშობლების, მეგობრების, გარშემომყოფებზე დაკვირვებით.
- **სწავლების პროცესი** - ის რასაც ასწავლიან გარშემომყოფები, რაზეც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კულტურული და რელიგიური შეხედულებები სექსუალობისა და ფიზიკური საზღვრების შესახებ.

გარკვეული სექსუალური ხასიათის ქცევა ნებისმიერ ასაკში შეიძლება გამოვლინდეს. ასეთი ქცევები შედარებით ნაკლებია ჩვილობისას. თვალსაჩინო ქცევათა მრავალფეროვნება იზრდება შემდეგ ასაკობრივ საფეხურზე, კერძოდ, სკოლამდელ პერიოდში, როდესაც ბავშვებს უკვე ექმნებათ გარკვეული წარმოდგენები საკუთარი სხეულის ნაწილების, მათ შორის გენიტალიების და გენდერული განსხვავებების შესახებ. რაც შეეხება მომდევნო ასაკობრივ საფეხურს, ამ ეტაპზე ნაკლებად თვალსაჩინოა ასეთი ტიპის ქცევები, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბავშვები, სოციალური ნორმების ათვისებასთან ერთად, სხვების თანდასწრებით აღარ ავლენენ გარკვეულ ქცევებს, რასაც შეიძლება კვლავ ახორციელებდნენ უფროსებისგან დაფარულად და/ან სოციალურად მისაღები ალტერნატიული ფორმებით.

სექსუალური ქცევები შეიძლება ვლინდებოდეს სხვადასხვა მიზნით, როგორიცაა: სენსორული/შეგრძნებით მიღებული სიამოვნება, თვითდამშვიდება, ყურადღების მიპყრობა, ცნობისმოყვარეობა და გამოკვლევის სურვილი. ქცევა ასევე შეიძლება გამოვლინდეს სხვისი ქცევის იმიტაციით, მიბაძვით. ტიპურად ითვლება ის ქცევები, რომლებიც მოცემული ასაკობრივი კატეგორიის ბავშვთა დიდი ნაწილისთვის არის დამახასიათებელი. თუმცა, აქვე

უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი შეხედვით ტიპური სექსუალური ქცევა შეიძლება შეფასდეს როგორც პრობლემური, თუ ის გამოვლენის სიხშირით, ინტენსივობით ან სხვა სპეციფიური მახასიათებლით არის საზიანო და საფრთხის შემცველი თვითონ ბავშვის განვითარებისთვის ან სხვებისთვის. მაგალითად, 3 წლის ასაკის ბავშვისთვის ტიპური ქცევაა საკუთარ გენიტალიებზე შეხება, მაგრამ თუ ის საათობით მანიპულირებს საკუთარი გენიტალიებით დღის განმავლობაში და/ან ვეღარ კონცენტრირდება განვითარების შესაბამის სხვა აქტივობაზე, ცხადია, ქცევა შეფასდება როგორც პრობლემური. მომდევნო თავებში დეტალურად ვისაუბრებთ პრობლემური სექსუალური ქცევების შესახებ, აქ კი მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ქცევათა კატეგორიებს, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ასაკობრივი საფეხურისთვის და შესაბამისად, ითვლება ტიპურ ქცევებად.

ბავშვის სექსუალური განვითარების ასაკობრივი თავისებურებების ცოდნა მშობლებსა და ბავშვთან მომუშავე პერსონალს ეხმარება, ერთი მხრივ, ასაკობრივად შეუსაბამო ქცევების იდენტიფიცირებაში, მეორე მხრივ, იმის განსაზღვრაში, თუ როგორ და რა მხრივ უნდა შეუწყონ ხელი სექსუალურ განვითარებას.

ქვემოთ წარმოგიდგინთ ცხრილებს, სადაც ნაჩვენებია ამა თუ იმ ასაკისათვის დამახასიათებელი ტიპური ქცევები და ის ასპექტები, რაზეც უფროსებს ყურადღების გამახვილება მართებთ.

ტიპური ქცევები

ჩვილობა (0-2წ)

- ინტერესი და ცნობისმოყვარეობა საკუთარი სხეულის, მათ შორის გენიტალიების მიმართ;
- საკუთარ გენიტალიებზე შეხება, როგორც მარტო ყოფნისას, ისე სხვების წინაშე;
- გაშიშვლება, სიშიშვლის დროს სირცხვილის განცდის არარსებობა.

რა არის მნიშვნელოვანი სექსუალური განვითარების ხელშეწყობის კუთხით?

- ! სხეულის ნაწილების, მათ შორის გენიტალიების სწორად სახელდება;
- ! გოგოებსა და ბიჭებს შორის მთავარი ანატომიური განსხვავებების ახსნა;
- ! მარტივი, ლაკონური, ბავშვისთვის გასაგები პასუხები სხეულის ნაწილებისა და მათი ფუნქციების შესახებ;
- ! თანატოლებთან ინტერაქციის ხელშეწყობა.

ტიპური ქცევები

ადრეული ბავშვობა (2-5 წ)

- საკუთარ გენიტალიებზე შეხება და გამოკვლევა, პერიოდული მასტურბაცია, რასაც უმეტესად აქვს თვითდამამშვიდებელი ფუნქცია და შეიძლება გამოვლინდეს სხვების თანდასწრებითაც;
- ჩნდება მარტივი კითხვები სექსუალობისა და რეპროდუქციის საკითხებზე (მაგ: „იმას იქ რა აქვს?“ „საიდან ჩნდება ბავშვი?“);
- სვამენ მარტივ შეკითხვებს სხეულის ნაწილების და მათი ფუნქციების შესახებ. ღიად საუბრობენ მოშარდვასა და მოსაქმებაზე;
- ღიად გამოხატავენ ინტერესს უფროსების სხეულის მიმართ (მაგ. ითხოვენ მშობელთან ერთად აბაზანაში შესვლას, უყურებენ ჩაცმა-გახდისას, გამოხატავენ მკერდის ნახვის და შეხების სურვილს და ა.შ.);
- შეიძლება გაშიშვლდნენ სხვების წინაშე (მაგ. შეიძლება გაიხადონ შარვალი, აიწიონ კაბა, მიზანმიმართულად აჩვენონ ინტიმური ადგილები).

რა არის მნიშვნელოვანი სექსუალური განვითარების ხელშეწყობის კუთხით?

! ბაზისური ინფორმაციის მიწოდება რეპროდუქციის საკითხებზე (მაგ. ბავშვი იზრდება დედის მუცელში/საშვილოსნოში);

! ბავშვისთვის ურთიერთობების საზღვრების განმარტება და სწავლება;

! ბავშვისთვის სასურველსა და არასასურველ შეხებას შორის განსხვავების სწავლება; ბავშვებს უნდა ავუხსნათ, რომ სხეული მათ ეკუთვნით და უნდა თქვან არა, თუ მათ სხვისი შეხება არ მოსწონთ, არ დაუშვან, რომ სხვა ადამიანები შეეხონ მათი სხეულის

ნაწილებს, განსაკუთრებით ინტიმურ ადგილებზე, ხოლო ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში აცნობონ მათთვის სანდო ადამიანს, მშობელს.

ტიპური ქცევები



- სლენგების გამოყენება, უხამსი გამონათქვამები და ხუმრობები სხეულის ნაწილებისა და ფუნქციების აღწერისას. უხამსი სიტყვების თქმა, მაშინაც კი, როდესაც მისი მნიშვნელობა კარგად არც ესმით;
- გენდერული როლების უკეთესად აღქმა და გაგება. ამ ასაკში მათი ქმედებები მეტად შეესაბამება დასწავლილ გენდერულ ნორმებს და მოლოდინებს (მაგ. გოგონებმა შეიძლება გამოხატონ კაბების ჩაცმის სურვილი);
- თანატოლებთან სექსუალური შინაარსის თამაშები და აქტივობები, მიმართული სხეულისა და სექსუალობის გამოკვლევაზე, რასაც ადგილი აქვს როგორც თავისივე, ისე საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან (მაგ. ექიმობანას თამაში, ინტიმური ადგილების ჩვენების ურთიერთ-შეთავაზება: მანახე და მეც განახებ");
- სხვების ჩაცმა-გახდის პროცესის ნახვის მცდელობები;
- ზოგმა ბავშვმა შეიძლება მიმართოს მასტურბაციას, ეხებოდეს საკუთარ გენიტალიებს სიამოვნების მიღების მიზნით, თუმცა ამას უმეტესად ადგილი აქვს განმარტოებით და არა სხვების თანდასწრებით.

რა არის მნიშვნელოვანი სექსუალური განვითარების ხელშეწყობის კუთხით?

- ! გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ! რეპროდუქციის საკითხებზე ბაზისური ინფორმაციის მიწოდება;
- ! ინტიმურობის ახსნა ასაკის შესაბამის დონეზე, მისაღებისა და მიუღებელის სწავლება;

! წესების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების სწავლება.

ტიპური ქცევები



გვიანი
ბავშვობა
(8-12 წ)

- იზრდება დამოუკიდებლობის სურვილი და ინტიმურობის /პირადის განცდა; აღარ აქვთ სურვილი გაიხადონ სხვისი თანდასწრებით.
- ჩნდება ინტერესი პირადი ურთიერთობებისადმი. შეიძლება გამოხატოს სურვილი ჰყავდეს შეყვარებული;
- გამოხატავენ ცნობისმოყვარეობას ზრდასრულის სხეულის მიმართ. იზრდება შიშველი ადამიანების ნახვის მცდელობები, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ფოტოებზე, ნახატებზე, ფილმებში და ა.შ. ;
- სწავლობენ რა სოციალურ ნორმებს, საკუთარ გენიტალიებზე შეხებას ადგილი აქვს მხოლოდ განმარტოებით;
- თანატოლებთან ერთად ერთვებიან ისეთ როლურ თამაშებში, რომლებიც მოიცავენ გარკვეულ სექსუალურ ქცევებს, მაგ: „ქორწილობა“, „შეყვარებულობა“, „სიმართლე თუ მოქმედება“;
- იწყება სექსუალური მიზიდულობა/ინტერესი თანატოლის მიმართ.

რა არის მნიშვნელოვანი სექსუალური განვითარების ხელშეწყობის კუთხით?

! გარდატეხის ასაკის ფიზიკური ასპექტების და სხეულებრივი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

! გარდატეხის ასაკის სოციალური და ემოციური ასპექტების შესახებ ინფორმირება. ახალი ემოციების ნორმალიზებაში¹ დახმარების გაწევა;

! ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სექსუალურ საკითხებზე, მათ შორის სექსუალურ ქცევებსა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე;

! ურთიერთობებისა და მეგობრობის თვალსაზრისით საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაგება/გააზრებაში დახმარება;

! ურთიერთ - გაგებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

! შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა, რათა შეძლონ მედიით წარმოდგენილ სექსუალურ საკითხებზე ყალბი და ნამდვილი ინფორმაციის გარჩევა;

! ინფორმირება რეალური და მედია-საფრთხეების შესახებ.

¹ ნორმალიზება - პროცესი, როდესაც რაღაც, რაც ნორმატიულად არ აღიქმება, წარმოჩინდება ნორმალურად და ჩვეულებრივად.



ტიპური ქცევა

- განსაკუთრებით იზრდება ინტერესი საკუთარი გარეგნობის მიმართ;
- განსაკუთრებით იზრდება ინტერესი თანატოლების მიმართ, სოციალური ურთიერთობების მიმართ;
- გამოარჩევენ/ირჩევენ პოტენციურ პარტნიორს რომანტიული/სასიყვარულო ურთიერთობებისთვის (ჰყავთ ან აქვთ სურვილი ჰყავდეთ შეყვარებული);
- სხვადასხვა გზებით ცდილობენ მოიპოვონ ინტერესის ობიექტის ყურადღება და ჰქონდეთ ფიზიკური სიახლოვე მასთან;
- სექსუალური შეგრძნებების მიღება სოციალურად მისაღები გზით.

რა არის მნიშვნელოვანი სექსუალური განვითარების ხელშეწყობის კუთხით?

- ! ღია და პოზიტიური კომუნიკაცია;
- ! დახმარება, რათა მიიღონ სწორი ინფორმაცია სექსუალურ/რეპროდუქციულ საკითხებზე და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დეზინფორმაცია;
- ! კულტურული და სოციალური ნორმების ათვისების ხელშეწყობა;
- ! ინტიმური ჰიგიენის სწავლება;
- ! უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება.

**შემთხვევის აღწერა #1. საბავშვო ბაღის აღმზრდელის გამოცდილება
აღსაზრდელების მხრიდან სექსუალური ქცევის იდენტიფიცირების
პროცესში.**

სოფიო ერთ-ერთი საბავშვო ბაღის აღმზრდელია 3-4 წლიანთა ჯგუფში. მას გავლილი აქვს პროფესიული განვითარების ტრენინგები, მათ შორის ინკლუზიური განათლების კუთხით და კარგად ართმევს თავს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესს. მის ჯგუფში ირიცხება ორი სსსმ აღსაზრდელი: ილია - აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოზით და ელენე - სმენის დაქვეითებით.

სოფიო თვლის, რომ აღსაზრდელოთა ქცევით სირთულეებს უმეტესად წარმატებით მართავს, თუმცა ეჭვი ეპარება, რომ საკმარისი ცოდნა აქვს ბავშვების სექსუალური ქცევის მართვის სტრატეგიების შესახებ. იგი იხსენებს რამდენიმე შემთხვევას, როდესაც არ იცოდა რა რეაგირება იქნებოდა სწორი მისი მხრიდან. კერძოდ:

- სოფიომ რამდენჯერმე შენიშნა, რომ შუადღის ძილის პერიოდში, დაწოლის შემდეგ, ჩამინებამდე, ილიას ხელი ჩაყოფილი ჰქონდა პიჯამას შარვალში და მასტურბირებდა. სოფიომ ბავშვის აღნიშნული ქცევის იგნორირება მოახდინა ყოველ ჯერზე, თუმცა არ იყო დარწმუნებული რომ სტრატეგიის სისწორეში. ამასთან, გაუჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ქცევა შეიძლებოდა შეიძლება ყოფილიყო ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ინდიკატორი.
- სოფიომ ერთხელ დაინახა, რომ ტიპური განვითარების აღსაზრდელები, ნიკა და იაკო, სამინებელ ოთახში იწევდნენ საცვალს, ერთმანეთს აჩვენებდნენ ინტიმურ ადგილებს და იცინოდნენ. ამის დანახვისას სოფიო ძალიან აღელდა, მკაცრად უსაყვედურა ბავშვებს და გააფრთხილა, თუ მსგავს ქცევას კიდევ გაიმეორებდნენ, ექიმს და მათ მშობლებს ეტყოდა.
- წიგნის კითხვის საათის დროს, როგორც წესი, ელენე, რომელსაც სმენის დაქვეითება

ჰქონდა, კალთაში ეჯდა ხოლმე სოფიოს. ერთხელ ელენემ სხვა ბავშვების წინაშე ხელი მოკიდა აღმზრდელს მკერდზე, რაზეც სოფიოს ჰქონდა მწვავე რეაქცია, მკაცრად უსაყვედურა ელენეს ამ ქცევის გამო და აუკრძალა მის კალთაში ჩაჯდომა.

მოცემული შემთხვევების განხილვისას ჩნდება შემდეგი კითხვები:

კითხვა #1. გამოვლენილი სექსუალური ხასიათის ქცევები ტიპურია და ნორმის საზღვრებში ჯდება თუ პრობლემური ქცევების კატეგორიაში გავა?

პასუხი: განხილული ქცევები ამ ასაკის ბავშვებისათვის საკმაოდ ხშირად გვხვდება და ტიპურად შეიძლება მივიჩნიოთ. არაერთი მშობელი და სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელი შეხვედრია ბავშვების მსგავს ქცევებს. სექსუალური განვითარებისა და შესაბამისი ასაკობრივი თავისებურებების შესახებ სათანადო ინფორმაციის ფლობა დაეხმარებოდა სოფიოს გაემიჯნა ტიპური ქცევა პრობლემური ქცევისგან.

კითხვა #2. გამოვლენილი სექსუალური ხასიათის ქცევები შეიძლება უკავშირდებოდეს ბავშვის სექსუალური ძალადობის გამოცდილებას?

პასუხი: სექსუალიზირებული ქცევები მართლაც ითვლება სექსუალური ძალადობის გამოცდილების ერთ-ერთ გავრცელებულ სასიგნალო ნიშნად, თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით ტიპურია თუ ატიპური გამოვლენილი ქცევა. აქვე გავიხსენოთ ის გარემოება, რომ სოფიოს სექსუალური ძალადობის შესახებ ეჭვი გაუჩნდა ილიას მიმართ, რადგან მას ტრენინგებიდან ჰქონდა ინფორმაცია, რომ სსსმ და მათ შორის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები უფრო მოწყვლადები არიან და ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. ემპირიული მონაცემები მართლაც აჩვენებს, რომ კომუნიკაციის სირთულეებისა და ატიპური სოციალური ქცევების გამო აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე პირებზე ფიზიკური და სექსუალური ძალადობის რისკები იზრდება. მაშასადამე, გასაკვირი არ არის, რომ სოფიოს ეჭვი გაუჩნდა ძალადობაზე, თუმცა მხოლოდ ეს ემპირიულ-სტატისტიკური მონაცემები არ იძლევა ეჭვის დასაბუთების საფუძველს. რადგან თუ მივუბრუნდებით განვითარების ეტაპების

თავისებურებებს, დავინახავთ, რომ ილიას ქცევა არ განსხვავდება ამ ასაკის ბავშვებთან ხშირად გავრცელებული ტიპური ქცევისგან - როგორცაა საკუთარი სხეულის ნაწილების, მათ შორის გენიტალიების ფიზიკური სტიმულირების გზით მიღებული ტაქტილური სასიამოვნო შეგრძნებების გამოწვევა, რასაც ხშირად აქვს თვითდამამშვიდებელი ეფექტი.

კითხვა #3. სწორი რეაგირება მოჰყვას თუ არა სოფიოს მხრიდან თითოეულ შემთხვევას?

პასუხი: აღმზრდელის მხრიდან მუქარა, დაშინება და დასჯა სექსუალიზებული ქცევების საპასუხოდ ვერ ჩაითვლება სწორ სტრატეგიად. რაც შეეხება იგნორირებას, როგორც წესი ეს მეთოდი ეფექტურია მაშინ როდესაც, ბავშვის ქცევა ემსახურება სხვისი ყურადღების მიღებას, რასაც ილიას შემთხვევაზე ვერ ვიტყვით. სექსუალურ ქცევაზე რეაგირების და სწორი მიდგომების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში.

სექსუალური განვითარების თავისებურებები განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში

როგორც წინა ქვეთავში იყო განხილული, სექსუალური კომპლექსური განვითარება დაბადებიდან იწყება და ზრდასრულობაშიც გრძელდება. ბავშვის განვითარების დარღვევების შემთხვევაში სექსუალური განვითარებაზე შეიძლება მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინოს, ერთი მხრივ, დიაგნოზის თანმხლებმა მდგომარეობებმა, როგორცაა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური და ემოციური შეზღუდვები და მეორე მხრივ, გარემოში არსებულმა ფაქტორებმა. ამის ფონზე ტიპური განვითარების მახასიათებლები შესაძლოა მოსალოდნელზე უფრო ადრე, დაგვიანებით ან განსხვავებული ფორმით გამოვლინდეს. მაგ. ფიზიკური ჯანმრთელობის სირთულეებმა და სამედიცინო ჩარევებმა შეიძლება პირდაპირი გავლენა მოახდინოს მოზარდის სქესობრივ მომწიფებაზე და არაპირდაპირი გავლენა იქონიოს პიროვნების სექსუალობის სხვადასხვა ასპექტზე. ასევე, სოციალურმა ბარიერებმა შეიძლება მნიშვნელოვანი დაღი დაასვას პიროვნულ/ინტიმურ ურთიერთობებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფიზიკური, სექსუალური მომწიფების თვალსაზრისით ზოგჯერ შეიძლება საერთოდ არ შეინიშნებოდეს სხვაობა განვითარების დარღვევების მქონე მოზარდებსა და ტიპური განვითარების მოზარდებს შორის, ზოგჯერ კი ეს სხვაობა საკმაოდ თვალსაჩინო იყოს. მაგალითად, პუბერტატისთვის² დამახასიათებელი ცვლილებები შეიძლება დაიწყოს უფრო ადრე, ან უფრო გვიან კონკრეტული დიაგნოზისა და არასრულწლოვნის ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით, რაზეც გავლენას ის ორგანული, ფიზიოლოგიური, ჰორმონული და სხვა თავისებურებები ახდენენ, რომლებიც ამა თუ იმ დიაგნოზს ახლავს თან. მაგალითად, ცერებრული დამბლის და ზურგის ტვინის თიაქარის მქონე გოგონებთან, მათი ტიპური განვითარების თანატოლებთან შედარებით, პუბერტატი ხშირად იწყება უფრო ადრე და სრულდება უფრო გვიან. უნდა აღინიშნოს, რომ ნაადრევი მომწიფება ხშირად ნეგატიურ

² პუბერტატი - სქესობრივი მომწიფება მოზარდობის ასაკში

გავლენას ახდენს მოზარდის თვითშეფასებაზე და ამავე დროს ზრდის სექსუალური ძალადობის რისკებს.

სახელმძღვანელოს სხვა თავებში საუბარია იმაზე, რომ სექსუალური ხასიათის ქცევები შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერ ასაკში, როგორც ტიპური, ისე განვითარების დარღვევების მქონე არასრულწლოვნებთან. ამათგან, ზოგიერთი ასეთი ქცევა ჯდება ნორმის ფარგლებში, ზოგი მიეკუთვნება საყურადღებო, გარკვეულწილად პრობლემურ ქცევით კატეგორიას, ხოლო ზოგიც დაუყოვნებლივ ჩარევას საჭიროებს შესაბამისი სპეციალისტების მხრიდან.

რა სპეციფიური განსხვავება შეიძლება არსებობდეს ტიპური განვითარებისა და განვითარების დარღვევის მქონე არასრულწლოვნებთან გამოვლენილ სექსუალურ ქცევებს შორის?

განვითარების დარღვევების არსებობის შემთხვევაში შეიძლება პრობლემური სექსუალური ქცევების განვითარებას უბიძგოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა:

- ✓ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დეფიციტური უნარები;
- ✓ სოციალური ნორმების გაგებისა და ათვისების სირთულე;
- ✓ ისეთი ცნებების გააზრების შეუძლებლობა, როგორიცაა მაგალითად „პირადი“, „ინტიმური“, „საკუთარი“, „საჯარო“, „პირადი სივრცე“ და სხვა;
- ✓ საკუთარი საჭიროებების გადმოცემის და სხვისი საჭიროებების გაგების სირთულე;
- ✓ იმპულსურობა და ყურადღების ადვილად გადანაცვლებადობა;
- ✓ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარების, საკუთარი ქცევის შედეგების განჭვრეტის შეუძლებლობა;
- ✓ დასწავლისა და დასწავლილის გენერალიზების³ სირთულეები.

³ გენერალიზება - დასწავლილის გამოვლენა და გამოყენება სხვადასხვა გარემოსა და სიტუაციებში.

ზემოთ აღნიშნული სირთულეების არსებობის ფონზე, თუ არასრულწლოვანი შემთხვევით გახდა სხვისი სექსუალური ქცევის მოწმე, ან მასზე განხორციელდა სექსუალური ძალადობა, განსაკუთრებით იზრდება პრობლემური სექსუალური ქცევების გამოვლენის ალბათობა.

გარდა ამისა, ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ განვითარების დარღვევის მქონე არასრულწლოვნებთან სექსუალური ქცევების გამოვლენისას ხშირად ადგილი აქვს შემდეგ გარემოებებს:

- ✓ სექსუალური ქცევა შეიძლება იყოს სიამოვნების, კმაყოფილების განცდის ერთადერთი შესაძლებლობა;
- ✓ სექსუალური ქცევა შეიძლება ემსახურებოდეს შფოთვის შემსუბუქებას;
- ✓ სექსუალური ქცევა შეიძლება ემსახურებოდეს სენსორულ სტიმულირებას და ამ გზით არსებული სენსორული დეფიციტის შევსებას;
- ✓ შეიძლება არასრულწლოვანი კომუნიკაციის მიღებული ფორმების ნაცვლად სექსუალური ქცევებით ცდილობდეს თანატოლებთან კომუნიკაციის დამყარებას;
- ✓ რიგ შემთხვევებში გარკვეული მედიკამენტების მიღება განაპირობებს მომატებულ აგზნებას, ლიბიდოს ცვლილებებს, რის ფონზეც შეიძლება განვითარდეს კომპულსიური⁴ მასტურბაცია და სხვა ტიპის სექსუალური ქცევები;
- ✓ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა სპეციფიურ გარემოებებს, დაკავშირებულს კონკრეტულ დიაგნოზთან და ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობასთან.

⁴ კომპულსური მასტურბაცია - აკვიატებული, დაჟინებული, გადამეტებული მასტურბაცია; დაუოკებელი სწრაფვა მასტურბაციისადმი

საზოგადოებაში გავრცელებულია არაერთი მითი განვითარების დარღვევების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტატუსის მქონე პირთა სექსუალურ განვითარებასა და სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

მითი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სექსუალურ განვითარებასა და სექსუალურ განათლებაზე დროის და რესურსების ხარჯვა არ ღირს, უმჯობესია სხვა უნარების განვითარებაზე ზრუნვა.

რეალობა: სექსუალური განვითარების ხელშეწყობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც განვითარების სხვა სფეროების. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ სექსუალური განვითარება მჭიდრო კავშირშია განვითარების სხვა სფეროებთან, განვითარების ხელშეწყობით მიღებული სარგებელი იქნება კომპლექსური და არა განყენებული. სათანადო სექსუალური განათლება აუცილებელია ნებისმიერი ბავშვისათვის, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და დიაგნოზისა. ადეკვატური სექსუალური განათლება გულისხმობს მათი საჭიროებებისა და განვითარების დონის შესატყვისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმისაწვდომობას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ზრდასრულებთან ჩატარებული ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ მათ უმრავლესობას არ ჰქონდა მიწოდებული საკმარისი ინფორმაცია რეპროდუქციის, ჩასახვის კონტროლის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და სხვა საკითხების შესახებ.

მითი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ასექსუალურები არიან.

რეალობა: ყველა ინდივიდს აქვს სექსუალობა. სექსუალობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვაგვარად. ყველას აქვს ინდივიდუალური საჭიროებები, მოთხოვნილებები, ინტერესები, მისწრაფებები, ემოციები, სურვილები. ტიპური განვითარების მოზარდების მსგავსად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებს შეიძლება ჰქონდეთ იმედები და სურვილები, დაკავშირებული ქორწინებასთან, შვილის ყოლასთან, სექსუალურ ცხოვრებასთან. განსხვავება ის არის, რომ ფიზიკური და სოციალური ბარიერების ფონზე

ისინი შეიძლება ნაკლებად იყვნენ ჩართულნი სოციალურ აქტივობებში და აქედან გამომდინარე, რომანტიული/ინტიმური ხასიათის ურთიერთობებიც ნაკლები ჰქონდეთ.

მიტი: განვითარების დარღვევებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებს სექსუალური ძალადობისგან დაცვა კი არ სჭირდებათ, არამედ პირიქით, ისინი უქმნიან საფრთხეს გარშემომყოფებს, რადგან არიან აგრესიულები, არ შეუძლიათ საკუთარი იმპულსების, მათ შორის სექსუალური ლტოლვის კონტროლი და ამიტომ თვითონ ხდებიან სექსუალური მოძალადეები.

რეალობა: მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევები და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ განვითარების დარღვევებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდები უფრო მეტად ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, ვიდრე მათი ტიპური განვითარების თანატოლები. მაშინაც კი, თუ ისინი ავლენენ პრობლემურ სექსუალურ ქცევებს, რომელთაგანაც ზოგიერთი ქცევა შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც სექსუალური ძალადობა სხვა პირზე, შემთხვევათა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ასეთი ქცევების პრევენცია შესაძლებელი იქნებოდა სათანადო სექსუალური განათლებითა და დროული, შესაბამისი ინტერვენციებით.

სწორედ საზოგადოებაში დამკვიდრებული ცრურწმენები და არასწორი შეხედულებები განაპირობებს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვნებთან სათანადოდ არ ეწყობა ხელი სექსუალურ განვითარებას და სოციალური ბარიერების ფონზე ვერ ხდება მათი სექსუალური საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილება/რეალიზება. ხშირად სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ მაშინ ექცევა გარშემომყოფთა ყურადღება, როდესაც სხვადასხვა ფაქტორებს, მათ შორის სექსუალური განათლების დეფიციტს ამა თუ იმ პრობლემური სექსუალური ქცევის გამოვლენამდე მივყავართ. აღნიშნული პრობლემა

განსაკუთრებით იჩენს თავს მოზარდობის პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს მნიშვნელოვან ანატომიურ, ფიზიოლოგიურ, ჰორმონულ, ფსიქო-ემოციურ და სოციალურ ცვლილებებს.

ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ ის მოზარდებიც კი, რომლებიც გარშემომყოფებისგან იღებენ გარკვეულ ინფორმაციას სექსუალობის საკითხებზე, ხშირად არაადექვატურ ან არასრულყოფილ ინფორმაციას ფლობენ. ასევე არის შემთხვევები, როდესაც მათ მიეწოდებათ სწორი ინფორმაცია, თუმცა ვერ იგებენ, რამდენადაც ინფორმაცია და სწავლების მეთოდები არ არის მორგებული მათ შემეცნებით უნარებზე. ასე რომ, შეიძლება ფორმალურად მათ ასწავლიდნენ წესებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, მაგრამ რეალური შედეგი ამ სწავლებას არ ჰქონდეს. ასეთ შემთხვევებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მიერ გამოვლენილი პრობლემური სექსუალური ქცევა შეიძლება შეფასდეს როგორც „სექსუალური შეცდომა“ და არა მიზანმიმართული, კარგად გააზრებული ქცევა საკუთარი სექსუალური აგზნებისა და იმპულსების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე მოსწავლის სხვების წინაშე გაშიშვლების ქცევა ვერ იქნება გაიგივებული ტიპური განვითარების მოზარდის ქცევასთან, რომელიც თანაკლასელებზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით ახორციელებს იგივე ქცევას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ადეკვატური სექსუალური განათლების უზრუნველყოფისათვის საჭიროა შემდეგი:

- კომუნიკაციის წარმოება მოსწავლისთვის გასაგები ფორმით; ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო მასალა უნდა იყოს მორგებული განვითარების დარღვევებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვნების შესაძლებლობებზე, ხშირად საჭიროა მასალის მოდიფიკაცია, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ინფორმაციის გამარტივებას, სპეციალურ სასწავლო მასალებს (მაგ. ილუსტრაციებს/სურათებს, ანატომიურ თოჯინებს და სხვა ტიპის თვალსაჩინოებებს).
- რაც შეეხება სწავლების სტრატეგიებს, საჭირო ხდება დეფიციტური უნარების სწავლების სხვადასხვა ეფექტური მეთოდის გამოყენება, მაგალითად როგორცაა ფორმირება⁵,

⁵ ფორმირება - ახალი ქცევის სწავლების პროცედურა, რომლის დროსაც სასურველი ქცევის სწავლება იწყება იმ ქცევაზე დაყრდნობით, რომელსაც ინდივიდი უკვე ავლენს და რომელიც გარკვეულწილად

მოდელირება⁶, ინსტრუქტაჟი⁷, სამიზნე ქცევის გამოვლენის განმტკიცება⁸ და ა.შ. ამასთან, სწავლებას შეიძლება დასჭირდეს სხვა მოსწავლეებთან შედარებით მეტი დრო და განმეორების პროცედურები. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს გენერალიზებას, რაც გულისხმობს შექმნილი ცოდნის/უნარის გამოვლენას არა ერთ, კონკრეტულ ფიზიკურ და სოციალურ გარემოში, არამედ სხვა გარემოშიც.

- მიზანშეწონილია სექსუალობასთან დაკავშირებულ უნარებზე მუშაობა სხვა უნარების მსგავსად გაიწეროს და წარიმართოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმით.

რამდენადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდები ხშირად ჩაებმებიან ხოლმე სექსუალურ ურთიერთობებში ადექვატური ცოდნისა და უნარების გარეშე, რის გამოც საფრთხის ქვეშ დგება მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი, მნიშვნელოვანია, მშობლებმა და სპეციალისტებმა გააცნობიერონ მათი სექსუალური საჭიროებები და ზემოთ განხილული სტრატეგიებით შეუწყონ ხელი ნებისმიერი ბავშვის ფსიქო-სექსუალურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა სექსუალურ განვითარებას ბარიერებს უქმნის როგორც ორგანული და ფუნქციონალური შეზღუდვები, ისე სოციუმი, გარშემომყოფთა სათანადო ძალისხმევით არსებობს შესაძლებლობა რომ ჩამოყალიბდნენ ჯანსაღი სექსუალური ექსპრესიების მქონე პიროვნებებად.

დაკავშირებულია ამ სასურველ ქცევასთან. ფორმირების პროცესი არსებულ ქცევას თანდათან აახლოებს სამიზნე ქცევასთან.

⁶ მოდელირება - სხვის ქცევაზე დაკვირვებით, იმიტაციით სწავლება

⁷ ინსტრუქტაჟი-ინსტრუქციების, მითითებების მიცემა

⁸ განმტკიცება - სამიზნე ქცევის გამოვლენის ალბათობის გაზრდა განმამტკიცებლების წარდგენით.

პრობლემური სექსუალური ქცევა



როგორც წინა თავში იყო განხილული, საკუთარი სხეულის ნაწილების მიმართ ინტერესი დაბადებიდან იწყება და ის ბუნებრივ პროცესს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ინტერესი ვლინდება სხეულის ნაწილების შესწავლით, სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებით, კითხვების დასმით. მსგავსი, ნორმატიული ქცევები არის სპონტანური და შედარებით იშვიათი, გამოვლენის სიხშირის თვალსაზრისით. სექსუალური ქცევა, რომელიც განვითარების და ასაკის შესაფერისია, შესაძლოა გახდეს პრობლემური, როდესაც:

- ✓ ვლინდება იმაზე უფრო ხშირად, ვიდრე ამას ბავშვის ასაკი და მისი განვითარების ეტაპი ითვალისწინებს;
- ✓ ბავშვის და მოზარდის წამყვან ქცევას წარმოადგენს - სხვა ქცევებთან, ინტერესებთან შედარებით, ბავშვი/მოზარდი უფრო მეტად არის მოცული აღნიშნული ქცევით;
- ✓ ხელს უშლის ბავშვის ან მოზარდის სოციალურ განვითარებას ან/და მის ზოგად ფუნქციონირებას, ასაკის შესაბამის აქტივობებში ჩართულობას;
- ✓ ქცევის გამოვლენის სიხშირე არ მცირდება მოზარდილის ჩარევის შედეგად;
- ✓ მიმართულია ბავშვის/მოზარდის ასაკის და განვითარების ეტაპის შეუსაბამო ცოდნის მიღებასა და გაცემაზე;

- ✓ მოიცავს სხვების მიმართ მუქარას, იძულებას;
- ✓ ვლინდება მიზანმიმართულად და არა სპონტანურად;
- ✓ იწვევს ნეგატიურ ემოციებს სხვა ბავშვებსა და მოზარდებში, რომლებიც პრობლემური სექსუალური ქცევის შემსწრე არიან;
- ✓ ვლინდება იმ ბავშვებს ან მოზარდებს შორის, რომელთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა ასაკის, კოგნიტური, სოციალური ან ფიზიკური განვითარების მიხედვით.

პრობლემური სექსუალური ქცევა შესაძლოა მოიცავდეს მხოლოდ საკუთარ თავზე მიმართულ ქცევებს, როგორცაა, ძალიან ხშირი მასტურბაცია, ასევე, სხვებზე მიმართულს, როგორცაა სხვა ბავშვების ინტიმურ ადგილებზე შეხება.

პრობლემური ქცევა გამოვლენის სიმწვავის მიხედვით განსხვავდება. მწვავე პრობლემური ქცევა სხვებისთვის ძალიან შემაწუხებელია, შეიცავს პოტენციურ რისკს და მრავალმხრივი მცდელობის მიუხედავად გამოვლენის სიხშირე არ მცირდება. განსაკუთრებით მწვავე პრობლემურ სექსუალური ქცევად შეიძლება მივიჩნიოთ:

- ქცევა, რომელმაც გამოიწვია სერიოზული ფიზიკური ზიანი ან/და მწვავე დისტრესი;
- ბავშვმა/მოზარდმა გამოიყენა ფიზიკური ან/და ემოციური იძულება, რათა შეუფერებელ სექსუალურ ქმედებაში ჩაერთო სხვა ბავშვი;
- ასაკობრივი განსხვავება ორ წელზე მეტია ქცევის განმახორციელებელ ბავშვს/მოზარდს და იმ ბავშვს/მოზარდს შორის, რომლის მიმართაც განხორციელდა ქცევა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის სექსუალური ქცევა არის ასაკის შესაფერისი და რომელი პრობლემური. მოცემული ინფორმაცია არ არის ამომწურავი. ყველა ცალკეულ შემთხვევაში ქცევა განხილული უნდა იქნას ფართო კონტექსტში, რაც გულისხმობს ინდივიდუალური, სოციალური და კულტურული ასპექტების მხედველობაში მიღებას. როდესაც ვსაუბრობთ პრობლემური სექსუალური ქცევის კონტექსტზე, ასევე გასათვალისწინებელია ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჩარევა მიმართული უნდა იყოს ყველა იმ ქცევაზე, რომლებიც სპეციალისტების მიერ მიჩნეული იქნება პრობლემურად.

ასაკობრივი პერიოდი

0-დან - 5 წლამდე

ასაკის შესაბამისი ქცევა	პრობლემური ქცევა	
	საყურადღებო	მწვავე
<ul style="list-style-type: none"> როგორც საკუთარი, ასევე სხვისი სხეულის ინტიმური ნაწილების მიმართ ინტერესის გამოხატვა, შეხების მცდელობა ბიჭებსა და გოგოებს შორის განსხვავების მიმართ ინტერესის გამოხატვა სხეულის ნაწილების ფუნქციების შესახებ კითხვების დასმა 	<ul style="list-style-type: none"> თანატოლის ან მოზრდილის სასქესო ორგანოზე შეხების მცდელობა სხვა მოზრდილებთან ან ბავშვებთან ერთად საპირფარეშოში შესვლა მათი ყურების მიზნით სექსუალურ საკითხებზე საუბრის გამოხატული სურვილი, რა დროსაც იყენებს ასაკისთვის შეუფერებელ სიტყვებს 	<ul style="list-style-type: none"> ხშირი მასტურბაცია სხვა ბავშვების სასქესო ორგანოებზე ხშირად შეხება მოზრდილის სასქესო ორგანოზე შეხების ხშირი მცდელობა სექსუალური შინაარსის თამაშში სხვა ბავშვების იძულებით ჩართვა

ასაკობრივი პერიოდი

0-დან - 5 წლამდე

ასაკის შესაბამისი ქცევა	პრობლემური ქცევა	
	საყურადღებო	მწვავე
<ul style="list-style-type: none"> • სქესობრივი საკითხების მიმართ ინტერესის გაზრდა (მაგალითად, კითხვებს სვამს იმის შესახებ, თუ როგორ ჩნდებიან ბავშვები) • მასტურბაცია საკუთარი თავის დამშვიდების მიზნით • სხეულის ინტიმური ნაწილების პრივატულობის შესახებ ცნობიერების გაზრდა 	<ul style="list-style-type: none"> • განმეორებითი კითხვები სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად, რომ პასუხი მიღებული აქვს • სხვებისთვის თვალყურის დევნების ცალკეული შემთხვევა • ძალადობრივი ან სექსუალური შინაარსის ონლაინ თამაშების განმეორებით თამაში 	<ul style="list-style-type: none"> • ხშირი მასტურბაცია სხვების წინაშე • გადაჭარბებული საუბარი სექსუალური საკითხების შესახებ • პორნოგრაფიული შინაარსის მასალის ყურება ან/და თანატოლებისთვის გაზიარება • სექსუალური შინაარსის თამაშში სხვა ბავშვების იძულებით ჩართვა • სექსუალური აქტის სიმულაცია • სხვა ასაკის და განვითარების საფეხურის შეუსაბამო ქცევა

ასაკობრივი პერიოდი

9-დან 12 წლამდე

ასაკის შესაბამისი ქცევა	პრობლემური ქცევა	
	საყურადღებო	მწვავე
<ul style="list-style-type: none"> • განმარტოებით მასტურბაცია • პირადი სივრცის დაცვის გაზრდილი მოთხოვნილება • სექსუალური შინაარსის სიტყვების გამოყენება • სექსუალური საკითხების შესახებ ინფორმაციის მოძიება • პორნოგრაფიული შინაარსის მასალის შემთხვევით აღმოჩენა 	<ul style="list-style-type: none"> • ასაკის შეუფერებელი სექსუალური შინაარსის მასალის ძიება (მაგ, ფილმი, თამაში და სხვ.) • თანატოლების ჩაგვრა, რომელიც სექსუალურ შინაარსს მოიცავს • სოციალური ქსელის მეშვეობით უცნობებთან ნაცნობობის გაბმის ხშირი შემთხვევები • ვირტუალურ სივრცეში პერსონალური ინფორმაციის გაზიარება უცხოებისთვის • სოციალური ქსელში მიმოწერის დამალვა 	<ul style="list-style-type: none"> • ხშირი მასტურბაცია სხვების წინაშე • სოციალურ ქსელში გაცნობილ უცხო პირთან შეხვედრა მშობლებისგან მალულად • საკუთარი ან სხვების შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოების გაგზავნა სოციალური ქსელის მეშვეობით • სიამოვნების მიღების მიზნით სხვების იძულება სხვადასხვა ქმედების განხორციელებაში

ასაკობრივი პერიოდი

12-დან 18 წლამდე

ასაკის შესაბამისი	პრობლემური ქცევა	
ქცევა	საყურადღებო	მწვავე
<ul style="list-style-type: none"> • სექსუალური საკითხების შესახებ ღიად საუბარი თანატოლებთან • მასტურბაცია განმარტოებით • თანატოლებთან ფლირტი • სექსუალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასება/ანალიზი 	<ul style="list-style-type: none"> • პორნოგრაფიული შინაარსის მასალის ხშირად ყურება • სექსუალური საკითხების შესახებ გადაჭარბებული წუხილი/ინტერესისე რომ ყოველდღიური, ასაკის შესაბამისი ფუნქციონირება არის გაძნელებული • სოციალურ ქსელში სხვებთან მიმოწერით ოკუპირება • სოციალურ ქსელში პერსონალური ინფორმაციის უცხოებისთვის გაზიარება • სოციალურ ქსელში სექსუალური შინაარსის ფოტოების განთავსება • სხვების პირადი სივრცის უგულებელყოფა • ნებართვის გარეშე სხვებზე შეხების, მათთვის თვალყურის დევნების ცალკეული შემთხვევა • შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოების სხვებისთვის გაგზავნა 	<ul style="list-style-type: none"> • ხშირი მასტურბაცია სხვების წინაშე • სხვების შეურაცხყოფა სექსუალური შინაარსის თემებით • პორნოგრაფიული შინაარსის მასალის ყურებით და გავრცელებით მოცვა • საკუთარი ან სხვების შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოების გაგზავნა სოციალური ქსელის მეშვეობით, მათი ნებართვ ის გარეშე

პრობლემური სექსუალური ქცევა შეიძლება გამოავლინოს ნებისმიერმა ბავშვმა, მისი სქესის, სოციოეკონომიკური სტატუსის თუ კულტურის მიუხედავად. ბავშვის მიერ გამოვლენილ პრობლემურ ქცევას საფუძვლად სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ჩვეულებრივ, აღნიშნული ქცევის ფუნქცია იშვიათად არის სიამოვნების მიღება. უმეტესად ეს ქცევები დაკავშირებულია შფოთვისთან, ტრავმულ გამოცდილებებთან, ცნობისმოყვარეობასთან, იმპულსის კონტროლის სირთულეებთან. ასევე, ბავშვებსა და მოზარდებს, როლებიც პრობლემურ სექსუალურ ქცევას ახორციელებენ, ქცევის წესების გაგება- შესრულების სირთულეები და თვითდამშვიდების სტრატეგიების შესახებ მწირი ცოდნა აქვთ.

მკვლევრების მიერ იდენტიფიცირებულია რამდენიმე გარემოება, რომელიც პრობლემური სექსუალური ქცევის მქონე ზოგიერთ ბავშვს/ მოზარდს აქვს გამოცდილებაში:

- ✓ ტრავმის, დანაკარგის და გაუცხოების გამოცდილება;
- ✓ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის გამოცდილება;
- ✓ ოჯახური ძალადობის გამოცდილება;
- ✓ ოჯახის წევრების ან მზრუნველების მიერ უკანონო ნივთიერებების ან ალკოჰოლის ბოროტად მოხმარება;
- ✓ ოჯახური ხელმიშვებულობა ან ასაკის შესაბამისი ქცევითი წესების არქონა;
- ✓ ასაკის შეუფერებელი პასუხისმგებლობის აღება, მაგალითად, ზრუნვა დედამამიშვილებზე.

სპეციალისტებმა არ უნდა მიიჩნიონ, რომ მსგავსი გამოცდილების მქონე ყველა ბავშვი აუცილებლად გამოავლენს პრობლემურ სექსუალურ ქცევას. თუმცა, აღნიშნული ფაქტორები ნეგატიურ გავლენას ახდენენ ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობაზე, სწავლასა და თანატოლებთან თუ მოზრდილებთან ურთიერთობებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მსგავსი გამოცდილების მქონე ბავშვები/მოზარდების იდენტიფიცირება დროულად მოხდეს და მათ სათანადო მხარდაჭერა მიიღონ.

ნებისმიერი ბავშვი შესაძლოა აღმოჩნდეს პრობლემური სექსუალური ქცევის მოწმე ან მის მიმართ იყოს განხორციელებული მსგავსი ქცევა. ამის შედეგად, მათ შესაძლოა მიადგეთ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი. მოზრდილებს, სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით მსგავსი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა შეუძლიათ.

ბავშვთან დაკავშირებული პირების როლი



ბავშვის აღზრდის და განათლების პროცესში ჩართული პირების (იქნება ეს მშობელი, აღმზრდელი, მასწავლებელი თუ სხვა) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა არასრულწლოვნის ჯანსაღ სექსუალურ განვითარებაზე ზრუნვა და ფიზიკური, ემოციური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობა სექსუალობასთან მიმართებაში. ამ პროცესში მათ შეიძლება სხვადასხვა როლი და პასუხისმგებლობები ჰქონდეთ, მაგალითად, როგორცაა:

Ø **სანდო პიროვნება** - საუკეთესო შემთხვევაში მშობელი თუ ბავშვთან მომუშავე პირი უნდა იყოს ბავშვისათვის სანდო პიროვნება, ვისთანაც არასრულწლოვანი შეძლებს კომფორტულად და ღიად საუბარს, საკუთარი სურვილების, ინტერესების, გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება ადამიანის სექსუალობას.

Ø **განმანათლებელი/ინფორმაციის მიმწოდებელი** - ეს არის ზრდასრულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი და სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ სექსუალობასთან დაკავშირებული რა სახის ინფორმაცია რა ფორმით და რა დროს უნდა მივაწოდოთ

არასრულწლოვანს, იმისათვის რომ ხელი შევუწყოთ ფიზიკური და სოციალური გარემოს მოთხოვნებთან მორგებას, ცვლილებებთან ადაპტაციას და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. არასრულწლოვანის სწორი და დროული ინფორმირება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ჯანსაღი სექსუალური ცხოვრების უზრუნველსაყოფად მომავალში. პირველ რიგში საჭიროა სწორად შევაფასოთ საკუთარი ცოდნა, კომპეტენცია და მზაობა და ვიზრუნოთ საკუთარი, როგორც განმანათლებლის უნარების განვითარებაზე სხვადასხვა სანდო წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვებით, სპეციალისტებთან კონსულტაციების გავლით და სხვა.

Ø *როლური მოდელი, ღირებულებების შემქმნელი* - როგორც ვიცით, გარშემომყოფების ქცევებს დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანის ქცევითი პატერნების ჩამოყალიბებისთვის. ბავშვზე/მოზარდზე გავლენას ახდენს მის გვერდით მყოფი ზრდასრული პირის სექსუალობის ვერბალური ან ფიზიკური გამოხატულება. ეს შეიძლება იყოს ჩაცმულობა, პარტნიორთან/მეუღლესთან ურთიერთობა, ოჯახის წევრებთან სიყვარულის გამოხატვა, გულწრფელი კომუნიკაცია და ა.შ. გარშემომყოფთა რელიგიური, კულტურული დამოკიდებულებები, ნორმები და რეაგირება მათ დარღვევაზე, ბუნებრივია, ასევე ახდენს გავლენას არასრულწლოვანის ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და ქცევების ჩამოყალიბებაზე.

Ø *დამცველი* - მშობელი/მზრუნველი/მასწავლებელი/სპეციალისტი უნდა იცავდეს არასრულწლოვანს სექსუალური ძალადობისგან, სექსუალურ საკითხებზე დეზინფორმაციისგან, არასწორი და მავნე გავლენებისგან. დამცველის როლი შეიძლება წარმოვიდგინოთ რამდენიმე მიმართულებით. ერთ შემთხვევაში ზრდასრული ახდენს მუდმივ მონიტორინგს და არასრულწლოვანთან მიმართებაში სხვადასხვა საფრთხეების ან რისკების დანახვისას თვითონ, საკუთარი ძალებით და ქმედებებით ცდილობს ამ საფრთხეების განეიტრალებას. სხვა შემთხვევაში, ცდილობს არასრულწლოვანების გაძლიერებას, მათი მზაობის გაზრდას საკუთარი თავის დასაცავად. და ბოლოს, დამცველი შეიძლება ახდენდეს ადვოკატირებას ბავშვის/მოზარდის საჭიროებების ეფექტური დაკმაყოფილებისათვის.

იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად ხართ მზად შეასრულოთ ესა თუ ის როლი, დაგეხმარებათ დაფიქრება და თვითშემეცნება, რისთვისაც წარმოგიდგენთ შეკითხვებს ცხრილის ფორმით:

როლი	შეკითხვა	თქვენი პასუხი
<p>სანდო პიროვნება</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ რამდენად ახერხებთ ღია, მეგობრულ, პოზიტიურ კომუნიკაციას არასრულწლოვანთან? ▪ რამდენად ახერხებთ კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას? ▪ რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას არასრულწლოვანთან? 	<p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p>
<p>განმანათლებელი/ ინფორმაციის მიმწოდებელი</p>	<ul style="list-style-type: none"> ○ რამდენად კარგად ხართ თქვენ თვითონ ინფორმირებული? ○ რა გჭირდებათ, იმისათვის რომ ინფორმაციის სწორად მიწოდება შეძლოთ? ○ მიგიწვდებათ ხელი საჭირო საგანმანათლებლო რესურსებზე და მეთოდებზე? ○ ვისი დახმარება გჭირდებათ არასრულწლოვანების ინფორმირების/სწავლების პროცესში? 	<p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p>

<p>როლური მოდელი, ღირებულებების შემქმნელი</p>	<ul style="list-style-type: none"> ○ რამდენად სწორ მაგალითებს აძლევთ არასრულწლოვანს? ○ რამდენად შეგიძლიათ კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება? ○ რამდენად შეესაბამება თქვენი პირადი ღირებულებები და დამოკიდებულებები თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს? 	<p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p>
<p>დამცველი</p>	<ul style="list-style-type: none"> ○ რამდენად შეგიძლიათ ბავშვის სექსუალობასთან, სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების და რისკების შეფასება/იდენტიფიცირება? ○ რამდენად სწორად განსაზღვრავთ უსაფრთხოების საკითხებს? ყურადღების მიღმა ხომ არ გრჩებათ რაიმე? ან პირიქით, საკუთარი შიშები და წინასწარგანწყობები ხომ არ გიბიძგებთ არარსებული საფრთხის აღქმისკენ? ○ რამდენად კარგად იცით ვის უნდა მიმართოთ საჭიროების შემთხვევაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაკმაყოფილებლად? 	<p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p>

რამდენადაც მოცემული გზამკვლევი ეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სექსუალურ ქცევებთან დაკავშირებულ საკითხებს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გავამახვილებთ სკოლის თანამშრომლების სპეციფიურ პასუხისმგებლობებზე პრობლემური სექსუალური ქცევის გამოვლენის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა პრობლემური სექსუალური ქცევის გამოვლენის პრევენციასა და რეაგირების კუთხით გარკვეული პასუხისმგებლობები აკისრიათ როგორც მასწავლებლებს, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რასაც ქვემოთ შეჯამებულად წარმოგიდგენთ.

<u>ადმინისტრაციის როლი</u>
კომუნიკაცია მასწავლებლებთან და მშობლებთან
დოკუმენტაციის შენახვა კონფიდენციალობის დაცვით
მასწავლებლების მხარდაჭერა გზამკვლევებით, რეფერირების დოკუმენტებით, საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით
მასწავლებლების მხარდაჭერა დამატებით სპეციალისტების ჩართვის ხელშეწყობით როგორც მოსწავლეთა შეფასების, ისე ინტერვენციის პროგრამებისა და პროფესიული კონსულტაციის მიღების მიზნით
ინტერვენციის გეგმების განხორციელების მონიტორინგი
კადრის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა
სხვა

<u>მასწავლებლის როლი</u>	
	პირველადი რეაგირება/ ქცევის აღკვეთა/ქცევის მართვის სტრატეგიების განხორციელება
	ქცევის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დოკუმენტირება
	მოსწავლეებთან საუბარი
	მშობლებთან კომუნიკაცია / ინფორმირება /თანამშრომლობა
	ადმინისტრაციის ინფორმირება
	თანამშრომლობა სხვა სპეციალისტებთან
	მონაწილეობა ინტერვენციის გეგმის შექმნასა და განხორციელებაში, სპეციალისტების რეკომენდაციების შესაბამისი ქმედებები
	დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, მაგ. პირადი საზღვრების, სოციალურად მისაღები ქცევების და სხვ. შესახებ
	მზაობა პროფესიული ზრდისადმი
	სხვა

მაშასადამე, იმისათვის, რომ მასწავლებლებმა შეძლონ სკოლის გარემოში აღმოცენებული პრობლემური სექსუალური ქცევების ეფექტურად მართვა, საჭიროა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა ბავშვის სექსუალური განვითარების თავისებურებების შესახებ, შეეძლოთ პრობლემური სექსუალური ქცევების ასაკისათვის შესაბამისი ქცევებისგან გარჩევა, იცოდნენ პრობლემური სექსუალური ქცევის გამოვლენისას მიზანშეწონილი რეაგირების გზები და ჰქონდეთ მშობლებთან და სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობის მზაობა.

საუკეთესო შემთხვევაში მასწავლებლები, ისევე როგორც მშობლები და აღმზრდელები, უნდა იღებდნენ კონსულტაციას ისეთი სპეციალისტებისგან, როგორცაა მაგალითად, განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სკოლას თავად ჰყავდეს სპეციალისტი (მაგ. სკოლის ფსიქოლოგი), ან არსებული რეფერირების მექანიზმების შესაბამისად გადაამისამართოს მოსწავლე საჭირო მომსახურებასთან (მაგ. მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება, ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრები და სხვა) შეფასების, ინტერვენციის დაგეგმვისა თუ კონსულტაციის მიღების მიზნით. სწორედ ამიტომ, საჭიროა მასწავლებელი ინფორმირებული იყოს შესაბამის მომსახურებებსა თუ სპეციალისტებთან მოსწავლის რეფერირების პროცედურების თაობაზე და ჰქონდეს სათანადო კომუნიკაცია სკოლის ადმინისტრაციასთან, რომლის პასუხისმგებლობაც არის მოსწავლისთვის საჭირო მომსახურებებში ჩართვის მხარდაჭერა.

მაშასადამე, იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პრობლემური სექსუალური ქცევების გამოვლენა სკოლის გარემოში, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობა ბავშვის/მოზარდის ძლიერი მხარეების და საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის, ისევე როგორც ინდივიდუალური საგანმანათლებლო და ქცევითი ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელებისას, რაც როგორც წესი, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა პერსონალის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

რაც შეეხება სპეციალისტებს, რომლებიც ახდენენ პრობლემური სექსუალური ქცევის მქონე მოსწავლის შეფასებასა და ინტერვენციების დაგეგმვას, მათი ძირითადი პასუხისმგებლობები შემდეგია:

❖ *კომუნიკაცია და ემოციური მხარდაჭერა.* სპეციალისტებს მუშაობა უწევთ როგორც უშუალოდ ბავშვთან, ისე მათ მშობლებთან, ოჯახის წევრებთან, მასწავლებლებთან და სხვა

მზრუნველ პირებთან. ამიტომ აღსანიშნავია სპეციალისტების, როგორც მშობლის/ოჯახის/მასწავლებლის მხარდამჭერის როლი. აუცილებელია სპეციალისტს ჰქონდეს სათანადო უნარები კომუნიკაციის და ემპათიის თვალსაზრისით. ემპათია სპეციალისტებსა და მშობლებს/მასწავლებლებს შორის წარმატებული თანამშრომლობისთვის აუცილებელი პირობაა, რამდენადაც ეს უფრო ეფექტურს ხდის კომუნიკაციას, ინტერაქციას და ნდობის ჩამოყალიბებას.

სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რამდენად სტრესულია პრობლემური სექსუალური ქცევების მქონე ბავშვებზე ზრუნვა. ხშირად მშობლები ფიქრობენ, რომ საზოგადოება მათ განსჯის, დაადანაშაულებს, გაკიცხავს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ შფოთვის. შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგი სახის ნეგატიურ ემოციებს და სირთულეებს:

- ბრაზი (ბავშვის, საკუთარი თავის, ან სხვების მიმართ);
- განრიდება ბავშვისგან;
- სევდა და დეპრესია;
- დანაშაულისა და სირცხვილის განცდა;
- იზოლაცია;
- იმედგაცრუება;
- დაბნეულობა და გაურკვეველობა (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ იციან რატომ ავლენს ბავშვი ამა თუ იმ ქცევას);
- ძილის დარღვევები;
- და სხვა.

მშობლებთან, ოჯახის წევრებთან და მასწავლებლებთან კომუნიკაციის პროცესში ზემოთ აღნიშნული სირთულეების გათვალისწინებასთან ერთად სპეციალისტებს მართებთ ფოკუსირება ძლიერ მხარეებზე და არსებულ რესურსებზე. სპეციალისტების მხრიდან არ არის მიზანშეწონილი კრიტიკული შეფასებები (მაგ: „თქვენ რომ აქამდე მიგეციათ ყურადღება და სათანადო ზომები მიგელოთ, დღეს ქცევა ასე მწვავედ არ იქნებოდა გამოხატული“, „აქამდე როგორ ვერ შენიშნეთ“). საკუთარი დამოკიდებულების ამგვარი ფორმით გამოხატვა მნიშვნელოვან დას დასავამს თანამშრომლობას სპეციალისტსა და მშობელს/მასწავლებელს

შორის. ასევე არ არის სწორი პირველადი ვარაუდებისა და ზედაპირული დასკვნების გაჟღერება მშობლებთან და მასწავლებლებთან შესაბამისი შეფასების ჩატარების გარეშე (მაგ: თუ თქვენ შენიშნეთ, რომ თქვენი შვილი/მოსწავლე ეხება გენიტალიებს, აშკარაა, რომ მას სერიოზული პრობლემა - სექსუალური ქცევის დარღვევა აქვს"). უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემური სექსუალური ქცევა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აღმოცენდეს და შენარჩუნდეს, ემსახურებოდეს სხვადასხვა მიზანს, ასე რომ, საფუძვლიანი შეფასებისა და ანალიზის გარეშე ცალსახა დასკვნები არ უნდა გაკეთდეს. და ბოლოს, სპეციალისტი უნდა მოერიდოს უხეშ შედარებებს (მაგ: „ასეთი რამ სხვა ბავშვებთან არასდროს შემინიშნავს“, „სხვა მშობლები/მასწავლებლები თვითონ აგვარებენ ამ პრობლემას“).

❖ *მშობლების, ოჯახის წევრების/მასწავლებლების ინფორმირება.* მშობლებს, ოჯახის წევრებს, მასწავლებლებს არაერთი შეკითხვა უჩნდებათ ბავშვის სექსუალური განვითარებისა და სექსუალიზირებული ქცევების ირგვლივ. მათ შეიძლება არ იცოდნენ რა ითვლება ნორმად და რა არა. ასევე, მათ შეიძლება თავად ვერ შეძლონ პრობლემური ქცევების მაპროვოცირებელი და შემანარჩუნებელი ფაქტორების განსაზღვრა და სწორი რეაგირება. სპეციალისტებს მართებთ საფუძვლიანი ინფორმირება მათთვის საინტერესო საკითხებზე, კონსულტაციების გაწევა სექსუალური ქცევის მართვის თაობაზე - პრევენციასა და რეაგირებაზე, ხოლო როდესაც მშობლები/მასწავლებლები მონაწილეობენ სპეციალურ საგანმანათლებლო თუ ინტერვენციის პროგრამებში, მათ ხშირად ესაჭიროებათ სპეციალისტების უწყვეტი სუპერვიზია.

❖ *რეფერირება.* როდესაც სპეციალისტი ხედავს, რომ ბავშვს ესაჭიროება ისეთი სახის მომსახურება, რაც აღემატება მის კომპეტენციას, მან უნდა გააკეთოს რეფერირება შესაბამის პროფესიონალთან. მაგალითად, შეიძლება საჭირო გახდეს როგორც სხვა, კონკრეტული სპეციალიზაციის მქონე ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტის, ისე სამედიცინო პერსონალის ჩართვა. კვლევები აჩვენებს, რომ ქცევის გამოყენებითი ანალიზის სტრატეგიების და შესაბამისი ქცევითი თერაპიის გამოყენება პოზიტიურ შედეგებს იძლევა პრობლემური სექსუალური ქცევების გამოვლენის რედუცირებისა და

სოციალურად მისაღები ქცევების გამოვლენის ზრდის კუთხით. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ იმ სპეციალისტებს, რომლებსაც სპეციალური გადამზადება აქვთ გავლილი ქცევის გამოყენებითი ანალიზის კუთხით. ქცევითი თერაპიის გარდა გამოიყენება კოგნიტურ-ქცევითი თერაპიაც, რაც განსაკუთრებით ეფექტურია ტრავმული გამოცდილების შემთხვევაში.

სამედიცინო პროფილის სპეციალისტების (მაგ: დერმატო-ვენეროლოგი, სექსოლოგი, გინეკოლოგი) ჩართვა ხშირად საჭირო ხდება, რადგან შესაძლოა პრობლემური სექსუალური ქცევა გარკვეულ კავშირში იყოს სხვადასხვა ორგანულ ფაქტორთან. მაგალითად, თუ ვხედავთ რომ ბავშვი გადამეტებულად ეხება საკუთარ სასქესო ორგანოს, უნდა გამოვრიცხოთ ხომ არ არის რაიმე სამედიცინო გამომწვევი ფაქტორი, რაც ამ ქცევისადმი უბიძგებდა (ვთქვათ, ქავილი, წვა - განპირობებული რაიმე დაავადებით). იმპულსების კონტროლის დეფიციტის, აგზნებისა და აგრესიულობის გამოვლენისას შეიძლება საჭირო იყოს ფსიქიატრის კონსულტაცია. შეიძლება საჭირო გახდეს სენსორული დარღვევების შეფასებაც შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მხრიდან.

❖ *შეფასება, ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და განხორციელების მონიტორინგი.*

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, პრობლემური სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე პროფესიონალის აქტიური ჩართვა შეიძლება გახდეს საჭირო როგორც შეფასების, ისე ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და პროგრესის მონიტორინგის ეტაპზე. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელი როგორც წესი, არის არა შეფასებისა და ინტერვენციის პროგრამების დამოუკიდებელად განმახორციელებელი, არამედ ის უნდა ოპერირებდეს შესაბამისი კომპეტენციის და პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მითითებებით.

რეაგირების /მართვის სტრატეგიები

პრობლემური სექსუალური ქცევების დროს

მოსწავლის პრობლემური ქცევის მართვა სკოლის პერსონალის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მათ ყოველდღიურად უწევთ მოსწავლეთა პრობლემურ ქცევებზე დაკვირვება და სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით ქცევის მართვა. თუმცა, როდესაც საქმე სექსუალურ ქცევას ეხება, მასწავლებლებს უჩნდებათ უხერხულობის განცდა და დისკომფორტის შეგრძნება, რაც ნეგატიურად აისახება მოსწავლის შეუსაბამო ქცევის საპასუხოდ მათი ეფექტური რეაგირების უნარზე. არასწორი რეაგირება ჩვეულებრივ მოიცავს გადაჭარბებულ ან მინიმალურ დონეზე რეაგირებას, მათ შორის ქცევის სრულ იგნორირებას. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება არასწორად შეაფასოს მოსწავლის მხრიდან გამოვლენილი ქცევის სიმწვავე, მიიჩნიოს რომ აღნიშნული ქცევა არის საგანგაშო, სხვებისთვის სფართობის შემცველი და უკიდურეს, შემზღვევად ზომებს მიმართოს, ან/და ვერ მოახერხოს საკუთარი ემოციების კონტროლი და გამოავლინოს მწვავე რეაქცია. სხვა შემთხვევაში, თუ სწორად არ მოხდა პრობლემური ქცევის იდენტიფიცირება, მასწავლებელმა შეიძლება საერთოდ არ მიაქციოს ყურადღება მოსწავლის ქცევას, რასაც მოყვება საზიანო შედეგები.

პრობლემური სექსუალური ქცევის მართვა მრავალეტაპიანი პროცესია, რომელიც სისტემურ მიდგომას მოითხოვს. რამდენადაც პრობლემურმა სექსუალურმა ქცევამ შეიძლება თავი იჩინოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საფრთხე შეუქმნას არასრულწლოვანთა კეთილდღეობას და ხელი შეუშალოს მიმდინარე სასწავლო პროცესს, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აუცილებელია პრობლემურ სექსუალურ ქცევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურების შემუშავება, სადაც აღწერილი იქნება პრევენციის გზები, პირველადი რეაგირებისა და შემდგომი მართვის ნაბიჯები, ასევე, კრიტერიუმები, თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამის სამსახურებთან გადამისამართება.

წარმოგიდგინო პრობლემური სექსუალური ქცევის მართვის ეტაპებს, რომლებსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაწესებულების რესურსიდან გამომდინარე, პრაქტიკა შესაძლოა იყოს განსხვავებული.

1. პირველადი რეაგირება

სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი შესაძლოა აღმოჩნდეს ბავშვის/მოზარდის მიერ გამოვლენილი სექსუალური ქცევის შემსწრე. შესაბამისად, სკოლის ყველა თანამშრომელი ინფორმირებული უნდა იყოს პირველადი რეაგირების გზების შესახებ.

რეკომენდებულია:

- შეინარჩუნოთ სიმშვიდე;
- მშვიდად და მკაფიოდ სთხოვოთ ბავშვს/მოზარდს შეწყვიტოს ქცევა. აქცენტი გააკეთოთ ქცევაზე და არა ბავშვზე, რათა გამიჯნოთ ქცევა პიროვნებისგან;
- ბავშვს/მოზარდს სხვებისგან განცალკევებით და მშვიდად აუხსნათ, რატომ არის აღნიშნული ქცევა მიუღებელი;
- განაცალკევოთ ბავშვები ერთმანეთისგან, თუ ქცევის გამოვლენას ჰყავს მოწმე ან დაზარალებული ბავშვები. მნიშვნელოვანია სხვა მოსწავლეებთან ცალ-ცალკე დალაპარაკება, რომლებიც შეესწრნენ ქცევას ან იყვნენ სიტუაციის უშუალო მონაწილე. ამ შემთხვევაში მოსწავლეებთან კომუნიკაციის მიზანი იქნება ერთი მხრივ სიტუაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება, რისკებისა და საჭიროებების უკეთ შეფასება, მეორეს მხრივ კი მათი ემოციური მხარდაჭერა.
- ინციდენტის შესახებ დამრიგებელს, სკოლის ადმინისტრაციას და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეატყობინოთ.

თუკი, კონკრეტული მოსწავლის მიერ გამოვლენილი შეუსაბამო სექსუალური ქცევის შესახებ ინფორმაციას სკოლის რომელიმე პერსონალს სხვა მოსწავლე ან მშობელი უზიარებს, მნიშვნელოვანია, მოსწავლის დამრიგებლის და სკოლის ადმინისტრაციის საქმის კურსში ჩაყენება.

გამოვლენილ ქცევაზე საპასუხო პირველადი რეაგირების შემდეგ, მნიშვნელოვანია ქცევის შეწყვეტის მოთხოვნაზე ბავშვის საპასუხო ქცევის შესახებ ჩანაწერის გაკეთება, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, შეჩერდა თუ არა ქცევა მოთხოვნის საპასუხოდ და რა ემოცია აღმოუცენდა (ბრაზის, სირცხვილის ემოცია) ამის შედეგად ბავშვს.

აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ქცევაზე სამუშაო შემდეგი ნაბიჯების განსაზღვრისთვის.

დაკვირვების ჩანაწერის ნიმუში

ბავშვის/მოზარდის სახელი, გვარი:

თარიღი:

- ✓ ქცევის აღწერილობა (დეტალურად აღწერეთ ბავშვის/მოზარდის მიერ გამოვლენილი ქცევა):
- ✓ ქცევის გამოვლენის ადგილი და დრო (განსაზღვრეთ, სად გამოვლინდა ქცევა, როდის. თუკი ქცევა საგაკვეთილო პროცესში გამოვლინა, მიუთითეთ მიმდინარე აქტივობა)
- ✓ ვინ იმყოფებოდა ბავშვთან/მოზარდთან ერთად ქცევის გამოვლენისას:
- ✓ ვის მიმართ იქნა განხორციელებული ქცევა (აღნიშნული ველი საჭიროების შემთხვევაში ივსება):
- ✓ შემთხვევის შემსწრე სხვა ბავშვების/მოზარდების რეაგირება ქცევაზე:
- ✓ შემთხვევის შემსწრე მოზრდილის რეაგირება ქცევაზე:
- ✓ ქცევის განმახორციელებელი ბავშვის რეაგირება ჩარევაზე (ბავშვი/მოზარდი შეეცადა თავდაცვას, უარყოფას, გამოავლინა ბრაზი თუ იყო პასიური, დარცხვენილი):

2. პირველადი შეფასება და რისკების განსაზღვრა

მას შემდეგ რაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვების უსაფრთხოება, სკოლის გუნდის მიერ უნდა მოხდეს დამატებითი ინფორმაციის მოპოვება/დაზუსტება:

- ქცევის დეტალური აღწერა;
- ქცევის გამოვლენის ადგილი, დრო და თარიღი;
- ვინ იმყოფებოდა ბავშვთან ერთად ერთ სივრცეში ან/და ვის მიმართ იქნა განხორციელებული პრობლემური სექსუალური ქცევა;
- აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გუნდმა უნდა გასაზღვროს, რამდენად არის ქცევა:

- ✓ ასაკის შესაბამისი
- ✓ ასაკის შეუსაბამო, თუმცა, შედეგად ზიანი არ მიაღწა თავად ქცევის განმახორციელებელ ბავშვს/მოზარდს ან/და სხვებს
- ✓ ასაკის შეუსაბამო, რომლის შედეგად ზიანი მიაღწა თავად ქცევის განმახორციელებელ ბავშვს/მოზარდს ან/და სხვებს
- ✓ ბავშვის/მოზარდის მიმართ განხორციელებული სავარაუდო სექსუალური ძალადობის ნიშანი

თუკი შეფასებაზე პასუხისმგებელი გუნდის მიერ ქცევა ფასდება, როგორც პრობლემური, უნდა განისაზღვროს დამატებითი შეფასების საჭიროება, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს სხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობას და ინფორმაციის მოპოვებას ბავშვის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

ხოლო როდესაც პასუხისმგებელი გუნდის მიერ ქცევა ფასდება, როგორც ასაკის შესაბამისი შემდგომი ნაბიჯების განხორციელების საჭიროება არ არის. თუმცა ასეთ შემთხვევაში მაინც რეკომენდებულია მოზრდილის რეაგირების სტრატეგიების ანალიზი, რამდენად მართებული იყო გამოყენებული მიდგომა და რა შეიძლება გაუმჯობესდეს, რათა მომავალში მსგავს შემთხვევებზე რეაგირება პერსონალმა უფრო ეფექტურად მოახდინოს.

განსაკუთრებით მწვავე პრობლემური სექსუალური ქცევის გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამის სამსახურთან გადამისამართება.

	ჩარევის საჭიროება არ არის	საჭიროა ჩარევის პროგრამების განხორციელება სკოლის გარემოში	საჭიროა ჩარევის პროგრამების განხორციელება სახლის გარემოში	საჭიროა დამატებითი სპეციალისტები ს, სერვისების მოძიება	საჭიროა შესაბამის სამსახურთან გადამისამართებ ა
ასაკის შესაფერისი	✓				
საყურადღებო		✓	✓		
მწვავე		✓	✓	✓	
განსაკუთრები თ მწვავე		✓	✓	✓	✓

3. ჩარევის გეგმის შემუშავება და განხორციელება

ჩარევა/ინტერვენცია შეიძლება წარმოადგენდეს როგორც განმავითარებელ, ისე საგანმანათლებლო და უშუალოდ ქცევის ცვლილებაზე მიმართულ პროგრამას. მაგალითად, პროგრამა შეიძლება მიმართული იყოს ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- სექსუალურ ქცევებთან დაკავშირებული წესების და საზღვრების დაცვა;
- ძალადობის პრევენციის უნარების განვითარება და უსაფრთხოების საკითხების სწავლება;
- ემოციური რეგულაცია და სტრესთან გამკლავების უნარები;
- იმპულსების კონტროლი;
- პრობლემის გადაჭრის უნარები;

- ასაკის და განვითარების შესაბამისი სექსუალური ცოდნა;
- სოციალური უნარები და თანატოლებთან ურთიერთობების წარმოება;
- შეუფერებელი სექსუალური ქცევის გაცნობიერება და შეცვლა;
- სხვა

უშუალოდ ბავშვზე მიმართული ჩარევის პროგრამების გარდა შეიძლება საჭირო გახდეს სკოლის პერსონალის გადამზადება სექსუალურ განათლებასთან და სექსუალური ქცევის მართვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

იმ შემთხვევაში თუკი, გუნდის მიერ ქცევა შეფასდა როგორც ბავშვის მიმართ განხორციელებული სავარაუდო სექსუალური ძალადობის ნიშანი, აუცილებელია შესაბამის სამსახურთან მიმართვის გაკეთება.

4. პროგრესის შეფასება

ქვემოთ მოცემულია პროგრესის რამდენიმე ინდიკატორი:

- სექსუალური პრობლემური ქცევის გამოვლენის სიხშირის, სიმწვავის შემცირება;
- სასკოლო გარემოში ბავშვის ადაპტაციის ხარისხის გაუმჯობესება;
- ბავშვის ჩართულობის გაზრდა ასაკის შესაბამის აქტივობებში;
- სკოლის პერსონალის ცოდნის გაზრდა და პრობლემური სექსუალური ქცევის მართვის უნარების გაუმჯობესება.

შემთხვევის აღწერა # 2: სექსუალური ქცევა სკოლის გარემოში

სპორტის მასწავლებელმა ერთ დღეს შენიშნა, რომ პირველ კლასელი 2 ბიჭი მოედანზე ყოფნისას, ბუჩქების უკან იმალებოდნენ, ჩაწეული ჰქონდათ შარვალი და საცვალი და ერთმანეთს აჩვენებდნენ სასქესო ორგანოს და იცინოდნენ. მასწავლებელმა დაუყოვნებლივ მოსთხოვა აეწიათ შარვლები და შემდეგ უთხრა: „ტანსაცმლის გახდა, გაშიშვლება დასაშვებია მხოლოდ პირად სივრცეში და არა საჯარო სივრცეში, სხვების დასანახად. მოედანი არ არის პირადი სივრცე და არც ერთმანეთისთვის სასქესო ორგანოს ჩვენებაა სწორი. მე როდესაც დავინახე რომ ჩაწეული გქონდათ შარვალი და საცვალი, უხერხულად ვიგრძენი თავი. ახლა მოწესრიგდით და დაბრუნდით თანაკლასელებთან. "

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებთან გენიტალიებით დაინტერესება ნორმად ითვლება, ის სცდება ნორმის ფარგლებს, თუ ქცევა გამოვლინდება საჯარო სივრცეში, როგორცაა მოცემულ შემთხვევაში სკოლა. როდესაც მსგავსი ტიპის ქცევები გამოვლინდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ძალისხმევა უნდა წარიმართოს საზღვრების სწავლებაზე, საჯარო და პირად სივრცეს შორის განსხვავების სწავლებაზე. მოცემულ სიტუაციაში ქცევის გამოვლენისას მასწავლებელი დაუყოვნებლივ მიდის ბავშვებთან და იწყებს კომუნიკაციას მშვიდად, პირდაპირ და გულწრფელად, სიტუაციას იყენებს სასწავლო მიზნებისთვის და ვერბალურად აღწერს ქცევას მარტივად და გასაგებად („დავინახე, რომ ჩაწეული გქონდათ შარვალი და საცვალი“), აწვდის ბავშვს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ქცევამ გარემომცველებზე („უხერხულად ვიგრძენი თავი“) და ამით მასწავლებელი ცდილობს ბავშვს დაანახოს ქცევის შედეგები და გაუჩინოს ემპათია სხვების მიმართ. ამავე დროს მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს ნორმას („ტანსაცმლის გახდა, გაშიშვლება დასაშვებია მხოლოდ პირად სივრცეში და არა საჯარო სივრცეში, სხვების დასანახად. მოედანი არ

არის პირადი სივრცე") და უხსნის რა არის მისაღები და რა მიუღებელი. რამდენადაც მასწავლებელს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ბავშვი იყო ქცევის ინიციატორი, იგი მიმართავს ორივე მოსწავლეს. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ ინიციატორი იყო ერთ-ერთი, მეორეს კი არ სურდა ამ აქტივობაში მონაწილეობა, მასწავლებელს მართებს სხვაგვარად მიუდგეს ამ მოსწავლეს. კერძოდ, მან უნდა დაარწმუნოს მოსწავლე, რომ ის არ არის დამნაშავე და აღმოუჩინოს მხარდაჭერა საჭიროების შესაბამისად. უმჯობესია მასწავლებელმა მოახდინოს შემთხვევის დოკუმენტირება გამოვლენილი ქცევის დეტალური აღწერითა და სხვა გარემოებების დაფიქსირებით (მაგ. მაპროვოცირებელი ფაქტორები, შედეგები, რეაგირების გზები და სხვა). რეკომენდებულია სკოლის ადმინისტრაციისა და მშობლების ინფორმირება და საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებული ნაბიჯების გადადგმა ქცევის განმეორების პრევენციისთვის.

შემთხვევის აღწერა #3. სსსმ მოსწავლის პრობლემური სექსუალური ქცევა (მასტურბაცია) სკოლის გარემოში

დიანა 10 წლისაა და ირიცხება ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. მას აქვს მსუბუქი ხარისხის გონებრივი განვითარების შეფერხების დიაგნოზი. მასწავლებელმა რამდენჯერმე შენიშნა, რომ დიანას გაკვეთილის მსვლელობისას ხელი ჰქონდა ტანსაცმელში ჩაყოფილი და მასტურბირებდა. საწყის ეტაპზე მასწავლებელმა მოახდინა ქცევის იგნორირება, თუმცა როდესაც ქცევის გამოვლენა გახშირდა, იგი მიხვდა, რომ მოცემული ქცევა პრობლემურ სექსუალურ ქცევას წარმოადგენდა.

ერთ-ერთი შემთხვევის დროს მასწავლებელმა გადაწყვიტა რეაგირება ქცევის გამოვლენისას. იგი ახლოს მივიდა და ისე, რომ სხვა მოსწავლეებს არ გაეგონათ, სთხოვა ქცევის შეწყვეტა და ხელის შარვლიდან ამოღება, რაც დიანამ უსიტყვოდ შეასრულა.

შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლე გვერდზე გაიხმო და უთხრა: „მე დავინახე, რომ შენ ხელი ჩაყოფილი გქონდა შარვალში და იწვალებდი სასქესო ორგანოს. სასქესო ორგანოს შეიძლება შეეხო როდესაც ხარ მარტო, მაგალითად როდესაც ხარ ტუალეტში, სააბაზანოში და არა საკლასო ოთახში, სხვების წინაშე, გაკვეთილის დროს.“ მართალია იმ მომენტში მოსწავლემ მასწავლებლის მითითება შეასრულა, თუმცა ქცევა კვლავ რამდენჯერმე განმეორდა კვირის მანძილზე.

მასწავლებელმა მოახდინა მშობლის ინფორმირება და სთხოვა ბავშვის ექიმთან წაყვანა მაპროვოცირებელი სამედიცინო ჩივილების გამოსარიცხად. რამდენიმე დღეში, როდესაც მშობლისგან მიიღო ინფორმაცია, რომ ბავშვს აღნიშნული ქცევის მაპროვოცირებელი სამედიცინო ჩივილები არ აღენიშნებოდა, მშობელთან შეთანხმებით აცნობა სკოლის ადმინისტრაციას და დაიგემა ქცევის ფუნქციური შეფასება ფსიქოლოგის ჩართულობით. შეფასებამ აჩვენა, რომ დიანა მასტურბაციის ქცევას ავლენდა გაკვეთილზე მოწყენილობის ფონზე, როდესაც არ იყო აქტიურად ჩართული საკლასო აქტივობებში.

ფსიქოლოგის მიერ გაიწერა ჩარევის გეგმა და განისაზღვრა მასწავლებლის როლი ქცევის გამოვლენის პრევენციისა და მართვის კუთხით. პრევენციის თვალსაზრისით დასახული იქნა მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის გაზრდის მიზანი და გაიწერა შესაბამისი ნაბიჯები. ხოლო ქცევის გამოვლენის შემთხვევაში მასწავლებლის მხრიდან მართვის ძირითად სტრატეგიად შერჩეული იქნა ყურადღების გადატანა და ქცევაზე კონტროლის (მასტურბაციის ქცევის არ გამოვლენა მთელი გაკვეთილის მანძილზე) პოზიტიური განმტკიცება გადაცვლადი განმამტკიცებლებით. გამოყენებული სტრატეგიების შედეგად მასტურბაციის ქცევის გამოვლენის სიხშირე თანდათანაბით შემცირდა.

საყურადღებო გარემოებები

ბავშვების უმრავლესობა ეხება საკუთარ გენიტალიებს ამა თუ იმ ასაკობრივ საფეხურზე. ჩვილები და მცირე ასაკის ბავშვები ეხებიან გენიტალიებს და ამ გზით იკვლევენ საკუთარი სხეულის ნაწილებს. მასტურბაციის გზით ბავშვი შეიძლება იღებდეს ფიზიკურ სასიამოვნო შეგრძნებებს, რაც შეიძლება ამშვიდებდეს, ანიჭებდეს კომფორტის განცდას (მაგალითად ძილის წინ). როგორც წესი, სკოლაში მისვლისას მოსწავლეები სხვის დასანახად აღარ ავლენენ ზემოთ აღნიშნულ ქცევას. მოზარდობის ეტაპისთვის მასტურბაციამ შეიძლება მიიღოს მიზანმიმართული თვით-სტიმულირების ფორმა.

სასკოლო ასაკიდან მასტურბაცია ვერ ჩაითვლება ნორმად შემდეგ შემთხვევებში:

- ✓ თუ ქცევას ადგილი აქვს საჯარო სივრცეში, სხვების დასანახად;
- ✓ თუ ქცევა ხელს უშლის ბავშვის მონაწილეობას სხვა, ასაკისთვის შესაბამის აქტივობებში, იმდენად არის დაკავებული თვით-სტიმულაციით რომ ნაკლებად ინტერესდება სხვა აქტივობებით, მაგალითად თანატოლებთან თამაშით, საკლასო დავალებების შესრულებით, გარემოს გამოკვლევით. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა ქცევა ხორციელდება საჯაროდ თუ არა. როდესაც ბავშვი მასტურბაციას ამჯობინებს ასაკისათვის შესაბამის ქმედებებს, ეს უკვე პრობლემის არსებობის ინდიკატორია.

ქცევა არის თვით-დამაზიანებელი. ბავშვი თავისი ქცევით იწვევს ტკივილს, სისხლდენას, დაზიანებას, ინფიცირებას, ემოციურ დისკომფორტს.

- ✓ მასტურბაციის საკლასო ოთახში გამოვლენისას მიზანშეწონილია მოსწავლესთან ინდივიდუალურად, პრივატულად დალაპარაკება, და არა კლასის წინაშე, სხვა მოსწავლეების გასაგონად, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაცინვა და ბულინგის სხვა ფორმები .
- ✓ მოსწავლესთან დალაპარაკებისას და მითითების მიცემისას მასწავლებელს მართებს სწორად შეარჩიოს სიტყვები იმისათვის, რომ ერთი მხრივ მისთვის გასაგები ენით აღწეროს ქცევა და მეორე მხრივ ხაზი გაუსვას თუ რა არის ნორმა.
- ✓ დაუშვებელია ჩხუბი, დამუქრება, დაშინება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებლები სასწავლო გარემოში გამოვლენილი პრობლემური სექსუალური ქცევებიდან ყველაზე ხშირად აღნიშნავენ სწორედ მასტურბაციას. ასაკისათვის შეუფერებელი ფორმით გამოვლენილი მასტურბაცია შეიძლება ემსახუროდეს სხვადასხვა მიზანს. მაგ:

- სამედიცინო ჩივილებთან (მაგ. ინფექციასთან) დაკავშირებული ფიზიკური სიმპტომების შემსუბუქება;
- მოწყენილობისგან თავის დაღწევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსწავლე ვერ ამყარებს სოციალურ ურთიერთობებს;
- იმ სტრესთან გამკლავება, რასაც იწვევს სოციალური ინტერაქციები;
- შფოთვისა და დაძაბულობის მოხსნა, ნეგატიურ ემოციებთან გამკლავება;
- ტრავმულ გამოცდილებასთან (მაგ. ძალადობა) დაკავშირებულ შემაწუხებელ ფიქრებთან, მოგონებებსა და განცდებთან გამკლავება

ხშირად დასმული კითხვები

როგორ მოვიქცეთ, თუკი ბავშვები თამაშისას სხეულის ინტიმურ ნაწილებს აჩვენებენ ერთმანეთს?

ბევრი მშობელი/მზრუნველი/აღმზრდელი გადაჭარბებულად რეაგირებს, როდესაც ხდება მსგავსი თამაშის მოწმე. ჩვეულებრივ, მსგავსი ქცევა წყდება, როგორც კი მოზრდილი გამოჩნდება იმ სივრცეში. თუმცა, თავის მხრივ, ზრდასრულმა ასეთ დროს უმჯობესია არ გადააჭარბოს შეფასებაში, გადართოს ბავშვის ყურადღება სხვა საქმიანობაზე. მოგვიანებით, კი აუცილებლად აუხსნას ბავშვს, რომ სავსებით გასაგებია მისი ინტერესი სხვა ადამიანის სხეულის მიმართ, თუმცა, მსგავსი ქცევა არ არის მისაღები. თითოეულ ადამიანს საჯარო სივრცეში საკუთარი სხეული უნდა ჰქონდეს დაფარული. ასევე, შეახსენეთ ბავშვს წესი პირადი სივრცის პატივისცემის შესახებ. უმჯობესია, ასევე, აუხსნათ, რა შემთხვევაში და ვის წინაშე არის დასაშვები ინტიმური ადგილების გამიშვლება და შეხება - მაგ, იგულისხმება ჰიგიენის პროცედურები (თუ არასრულწლოვანს დამოუკიდებლად არ შეუძლია მათი შესრულება) და სამედიცინო შემოწმება.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ვხედავთ, რომ ბავშვი/მოზარდი მასტურბირებს?

გახსოვდეთ, მასტურბაცია ნორმალური განვითარების ნაწილია. აღნიშნულ ქცევას შეიძლება ჰქონდეს თვითგამოკვლევის, თვითდამშვიდების ფუნქცია. შესაბამისად, თუ შენიშნეთ ბავშვი მასტურბაციის პროცესში, გაითვალისწინეთ ბავშვის ასაკი, სად ავლენს ბავშვი ამ ქცევას და ასევე, რა სიხშირით. თუ, აღნიშნული ქცევა საჯარო ადგილებში ვლინდება, რაც მოცემული ასაკისათვის შეუფერებელია, მნიშვნელოვანია აუხსნათ, რომ საკუთარ გენიტალიებზე შეხება შეუძლია, თუმცა არა საჯაროდ და სხვების წინაშე. ამასთან, ამ დროს მიზანშეწონილია გაამახვილოთ ყურადღება ჰიგიენის საკითხებზეც. არ არის რეკომენდებული ჩხუბი, მუქარა, განზოგადებულად თქმა, რომ „ეს ცუდია“, „ეს დანაშაულია“. თუკი, თქვენი ძალისხმევის მიუხედავად ქცევა მაინც ვლინდება საჯარო ადგილას ან/და ძალიან ხშირად, უმჯობესია, შესაბამის სპეციალისტთან გაიართოთ კონსულტაცია. შეიძლება საჭირო გახდეს ქცევის ფუნქციური შეფასება, საჯარო სივრცეში ქცევის გამოვლენის მაპროვოცირებელი გარემოებების და მიზნების დადგენა, რაც აუცილებელია ქცევის გამოვლენის შემცირებისა და/ან მისაღები ქცევით ჩანაცვლებისთვის.

ბავშვების ინფორმირება ასაკობრივი და განვითარების დონის გათვალისწინებით



მშობლები და სპეციალისტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბავშვებისა და მოზარდებისთვის სექსუალური განათლების მიწოდებაში. სექსუალური განათლების საკითხებზე გადამზადებული სპეციალისტებისგან განსხვავებით, მშობლებისთვის შესაძლოა სირთულეს წარმოადგენდეს აღნიშნულ საკითხზე ბავშვებისა და მოზარდებისთვის ინფორმაციის მიწოდება. ისინი შესაძლოა მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ საკითხზე საუბრის წარმართვა ბავშვების ასაკის შეუსაბამო ქცევების განხორციელებას წახალისებს. თუმცა, როგორც უკვე განხილული იყო სხვა თავებში, სწორი ინფორმაციის მიწოდება, ასაკის და განვითარების გათვალისწინებით, ბავშვების და მოზარდების მიერ სექსუალური ქცევების განხორციელების რისკს არ ზრდის. პირიქით, ეს ბავშვებსა და მოზარდებს ჯანსაღი არჩევანის გაკეთებასა და საკუთარი თავის დაცვაში ეხმარება.

ვინაიდან, მშობლები ბავშვისთვის განგრძობითი განათლების მიწოდებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ, ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები მათ სექსუალური საკითხების შესახებ საუბრისთვის მომზადებასა და წარმართვაში დაეხმარებათ:

- განიხილეთ ოჯახის წევრებთან თუ რა სახის ინფორმაციის მიწოდებას თვლით მნიშვნელოვნად ბავშვისთვის. გაითვალისწინეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ფასეულობები. ასევე, თუკი არის შესაძლებლობა, გაიარეთ კონსულტაცია სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთან ან ფსიქოლოგთან, რომელიც ფლობს ინფორმაციას ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ. მათ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის გაწევა შეუძლიათ იმის განსაზღვრაში, თუ რა სახის და რა მოცულობის ინფორმაციის მიწოდება არის საჭირო ბავშვისთვის.
- დააზუსტეთ რა ინფორმაციას ფლობს ბავშვი. ეს დაგეხმარებათ განსაზღვროთ, თუ რა საკითხის შესახებ გჭირდებათ ინფორმაციის მიწოდება. ასევე, შეძლებთ არსებული ინფორმაციის სისწორისა და სანდოობის შეფასებას.
- ბავშვთან სექსუალური საკითხების შესახებ საუბრისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენ არ ფლობთ საკმარის ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხზე. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ეს ღიად დააფიქსიროთ, თუმცა, დაარწმუნოთ ბავშვი რომ ეცდებით სანდო ინფორმაციის მოძიებას. გახსოვდეთ, რომ თქვენ არ ხართ პროფესიონალი და არ გევალებათ დეტალური ინფორმაციის ფლობა.
- აღნიშნულ საკითხზე ბავშვთან კომუნიკაციის პროცესში, სიფრთხილით შეარჩიეთ კითხვები და ინტონაცია, რათა ბავშვის მიერ ეს არ იქნას აღქმული, როგორც გაკიცხვა. მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის შესაძლოა უსიამოვნო იყოს იმის აღმოჩენა, რომ თქვენი შვილი ინფორმაციას ფლობს ან ინტერესს გამოხატავს კონკრეტული საკითხის მიმართ, შეეცადეთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე. გახსოვდეთ, ბავშვის/მოზარდის ინტერესი და ცნობისმოყვარეობა სექსუალობის მიმართ ბუნებრივია. არ გაკიცხოთ ბავშვი/მოზარდი გარკვეული საკითხების შესახებ გამოჩენილი ცნობისმოყვარეობის გამო.

- სექსუალობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვისას, არ წარმოაჩინოთ ეს საკითხი, როგორც ცუდი, სამარცხვინო, ან არაბუნებრივი. ეცადეთ, ისაუბროთ მშვიდად, გადაჭარბებული ემოციების გარეშე.

გარდა ზოგადი სახის რეკომენდაციების გათვალისწინებისა, მნიშვნელოვანია ისეთ საკითხებზე აქცენტის გაკეთება, როგორცაა უსაფრთხოება და ბავშვების მომზადება სქესობრივი მომწიფებისთვის.

მშობლებმა ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყონ უსაფრთხოების და სქესობრივი მომწიფების თანმდევი სხეულბრივი ცვლილებების შესახებ სწავლება. ამისთვის კი მიზანშეწონილია შემდეგი მითითებების გათვალისწინება:

- ასწავლეთ ბავშვს სხეულის სხვადასხვა ნაწილის დასახელება. მათ შორის სხეულის ინტიმური ნაწილების.
- წახალისეთ ბავშვის მიერ დამოუკიდებლად ჩაცმის, ტუალეტის მოხმარებისა და თვითმვლის სხვა უნარების განვითარება. აღნიშნული უნარების ჩამოყალიბებაზე მუშაობისას, გამოიყენეთ ყოველი სათანადო შესაძლებლობა და ესაუბრეთ ჩაცმის, ტუალეტის მოხმარებისას პირადი სივრცის დაცვის შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ სხვების თანდასწრებით არ უნდა გამოიყვალოს ტანსაცმელი, საპირფარეშოს მოხმარებისას კარი უნდა დახუროს და სხვ.
- ასწავლეთ ბავშვს პირადი სივრცის დაცვა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა ადამიანების სივრცის პატივისცემას. აუხსენით მათ, რომ მიუღებელია სხვა ადამიანების სხეულის პირად ნაწილებზე შეხება და ზოგადად შეხება, თუკი მათ ამის სურვილი არ აქვთ.
- არ აიძულოთ ბავშვი აკოცოს ან ჩაეხუტოს მოზრდილებსა თუ ბავშვი თავად არ გამოხატავს ამის სურვილს.
- აუხსენით ბავშვს თუ რა სახის შეხებაა მისაღები, თუმცა ხაზი გაუსვით იმ ფაქტს, რომ იმის მიუხედავად რომ კონკრეტული შეხება შესაძლოა მისაღები იყოს, მათ მაინც აქვთ უფლება სხვებს შეხებისგან თავის შეკავება სთხოვონ.

- აუხსენით ბავშვს მკაცრად შეეწინააღმდეგონ სხვა ადამიანების მიერ მათი სხეულის ინტიმურ ნაწილებზე შეხებას. ასწავლეთ, თუ როგორ მოითხოვოს დახმარება, თუკი ვინმე ცდილობს მათ შეხებას. დაარწმუნეთ რომ ყოველთვის მოუსმენთ, დაუჯერებთ და დაიცავთ.
- ესაუბრეთ ბავშვს სქესობრივი მომწიფებისას სხეულის ისეთი ცვლილებების შესახებ, როგორცაა, სიმაღლეში ზრდა, სხეულის მასის ცვლილება, მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება. ასევე, ჰორმონალური ცვლილებების შესახებ, რომელთა შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს ხშირი ოფლიანობა, გამონაყარი სახეზე. აუხსენით თუ რას გულისხმობს მენსტრუალური ციკლი, რა პერიოდულობით ვლინდება და ჰიგიენის რა ნორმების დაცვა არის მნიშვნელოვანი.

გაითვალისწინეთ ბავშვის/მოზარდის განვითარების თავისებურებები და ინფორმაციის მიწოდების პროცესში გამოიყენეთ განსხვავებული მეთოდები.

დამატებითი თვალსაჩინო და/ ან სხვა ტიპის დამხმარე მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით მშობელმა შესაძლოა კონსულტაცია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებთან გაიაროს. მნიშვნელოვანია, მიღებული რეკომენდაციების გაზიარება სკოლის წარმომადგენლებთან, რათა სახლის და სკოლის გარემოში საჭირო უნარების განვითარებაზე მუშაობა შეთანხმებულად წარიმართოს. თავის მხრივ, მასწავლებლების მიერ სექსუალური თემატიკის საკითხებზე მოსწავლეთა ინფორმირებისას საჭიროა მშობლებთან თანამშრომლობა.

თუ მასწავლებელს ინფორმაციის მიწოდება უწევს საგნის ფარგლებში (მაგ. ბიოლოგია), ბუნებრივია, იგი მიყვება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მასწავლებლის სახელმძღვანელოში

სხეულის ცვლილებების შესახებ ინფორმირებისთვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი შვილის ფოტოები, რომლებიც განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა გადაღებული. მაგალითად, ჩვილობის, ადრეული ბავშვობის ასაკში. დააკარით აღნიშნული სურათები მყარ ზედაპირზე და თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით დაეხმარეთ აღმოაჩინოს ის ცვლილებები, რომლებსაც განიცდის. ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გადაღებული დედამამიშვილების ან თქვენი სურათები.

მოცემულ საგნის სწავლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. სხვა შემთხვევებში მასწავლებელმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს ბავშვების ინფორმირება ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე მოსწავლეთა მხრიდან გამოვლენილი ინტერესის, არასრულწლოვანთა უსაფრთხოების დაცვის ან სხვა საჭიროების არსებობის დროს. ამ დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ის რეკომენდაციები, რაც მოცემული გზამკვლევის სხვადასხვა თავებში არის განხილული.

ხშირად დასმული კითხვები

რა ასაკის ბავშვთან უნდა დავიწყოთ საუბარი სექსუალური თემატიკის საკითხებზე?

ბავშვებთან საუბარი გარკვეული დოზით ადრეული ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ. არასწორია მოსაზრება, რომ გარდატეხის ასაკამდე ბავშვს არანაირი ინფორმაცია არ უნდა ჰქონდეს სექსუალურ საკითხებზე. მთავარია, ვიცოდეთ რა, რა დოზით და რა ფორმით უნდა ვუთხრათ ბავშვს ამა თუ იმ ასაკში. მიზანშეწონილია, ბავშვს ნაბიჯ-ნაბიჯ ვაწვდიდეთ ინფორმაციას, მისი განვითარების საჭიროებებისა და გამოვლენილი ინტერესის შესატყვისად. მაგ. თუ 3 წლის ბავშვი სატელევიზიო რეკლამაში ხედავს ჰიგიენურ საფენს და სვამს კითხვას - „რა არის ეს?“, მისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად საკმარისია უთხრათ რომ ეს მოზრდილი ქალებისთვის საჭირო ნივთია. ამ ასაკში ეს პასუხი ბავშვს დააკმაყოფილებს. ხოლო მოგვიანებით, ვთქვათ, 8 წლის ასაკში, როდესაც ბავშვს ადრეულ ასაკში მიწოდებული ინფორმაცია აღარ ჰყოფნის და სვამს დამატებით შეკითხვას, რისთვის სჭირდებათ ეს ქალებს, უკვე უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია მენარქეს შესახებ.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ბავშვი გვეკითხება - „როგორ ჩნდებიან ბავშვები?“

რეკომენდებულია, მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია, თუმცა, ინფორმაციის მოცულობა დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე. მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის სავსებით საკმარისია იმის გაზიარება, რომ ბავშვი იზრდება დედის მუცელში და შემდეგ გადის გარკვეულ გზას იმისათვის, რომ დაიბადოს. სასკოლო ასაკის ბავშვებთან შესაძლებელია სხეულის იმ ნაწილების დასახელება, სადაც ხდება ემბრიონის მომწიფება და შემდეგ უკვე ჩვილის დაბადება. ასევე, განაყოფიერების პროცესის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიწოდება. გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდებთან შესაძლებელია ჩასახვისა და დაბადების სხვადასხვა ასპექტზე დეტალური, სანდო ინფორმაციის მიწოდება.

რა ასაკში უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია გოგონებს მენსტრუაციის ციკლის შესახებ?

მენსტრუაციის ციკლის შესახებ ბავშვების ინფორმირების რეკომენდებული ასაკი არის 8 წელი. ამასთან, მიზანშეწონილია, არა მარტო გოგონების, არამედ, ბიჭების ინფორმირებაც. თუ მოზარდ გოგონას ციკლი დაეწყება ისე, რომ არ იყო ინფორმირებული ამის შესახებ, ამან შეიძლება დიდი სტრესი მიაყენოს მას. აღნიშნული მოვლენა ასევე სტრესული შეიძლება აღმოჩნდეს ინფორმაციის არ მქონე სხვა ბავშვებისათვისაც, რომლებიც შეესწრნენ მოზარდის ციკლის მოულოდნელად დაწყებას, მაგ. თუ დაინახეს გოგონას დასვრილი ტანსაცმელი და მისი ნეგატიური რეაქციები, ეს გამოიწვევს გაურკვევლობის, დაბნეულობის, შიშის განცდებს მათში. ყოველივე ზემოთთქმულის თავიდან ასაცილებლად, რეკომენდებულია, ბავშვების, როგორც გოგონების, ისე ბიჭების, დროული და სათანადო ინფორმირება. აქ იგულისხმება ინფორმაციის მიწოდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: დაახლოებით რა ასაკში იწყება გოგონებთან მენსტრუაცია, რა ცვლილებები ახლავს თან, რა ჰიგიენური პროცედურებია საჭირო ციკლის პერიოდში, როგორ უნდა მოიქცეს თუ მას, ან მის თანატოლს მოულოდნელად დაეწყო ციკლი და სხვა.

მართებულია თუ არა ინტიმური ადგილებისთვის მეტსახელების დარქმევა და ბავშვებისათვის მათი სწავლება სწორი ტერმინების ნაცვლად?

3 წლის ასაკიდან მიზანშეწონილია, ბავშვს ვასწავლოთ სხეულის ნაწილების, მათ შორის ინტიმური ადგილების, სწორი დასახელება. მეტსახელების დარქმევა, მათ შორის ნეიტრალური სიტყვებით ჩანაცვლება, რიგ რისკებთან არის დაკავშირებული, რადგან ამან ერთის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის დაბნეულობა რეალურ სიტუაციებში, მეორეს მხრივ, კი შესაძლოა ეს სიტყვები არასწორად ინტერპრეტირდეს როგორც თვითონ ბავშვის, ისე გარშემომყოფების მხრიდან. ვთქვათ, მშობელმა ბავშვის სასქესო ორგანოს დაარქვა პირობითად „პასპორტი“ (რაც საკმაოდ გავრცელებული ზედმეტსახელია ქართულ რეალობაში), ან „ვავე“ (რომელიც არაფერს ნიშნავს) და ეს სიტყვები ასწავლა ბავშვს. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც სკოლაში სსსმ მოსწავლე მასწავლებელს ეუბნება, რომ დარაჯმა ბავშვს „პასპორტი“ ან „ვავე“ ანახა, შეძლებს იგი ამის გაგებას და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრას? დიდი ალბათობით - ვერა. სწორედ ასეთი სიტუაციების თავიდან ასარიდებლად, უმჯობესია, თავიდანვე სწორად ვასწავლოთ ბავშვებს ინტიმური ადგილების სახელდება. თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ეტიკეტი, ეთიკის ნორმები და ბავშვებს შესაბამისად ავუხსნათ სად და რა შემთხვევაში არის მისაღები და რა შემთხვევაში არ არის მიღებული ამ ტერმინების თქმა.

ვისი ვალდებულებაა ბავშვების ინფორმირება, მშობლების თუ საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის?

ნებისმიერ ზრდასრულს, ვისაც შეხება აქვს ბავშვებთან, შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს სექსუალური განათლების მიწოდებაში პირდაპირი სწავლების და/ან განათლების პროცესის მხარდაჭერის გზით. ბუნებრივია, რომ შეიძლება არ გვექონდეს შესაბამისი ცოდნა გარკვეულ საკითხებზე, ან განვიცდიდეთ ძლიერ დისკომფორტს, რამაც შეიძლება ხელი შეგვიშალოს არასრულწლოვანთა სათანადოდ ინფორმირებაში. თუ არასრულწლოვანი გისვამთ კითხვას და პასუხს ვერ სცემთ, ეს არ არის დანაშაული, ასეთ შემთხვევაშიც არსებობს გამოსავალი: საკუთარ თავზე მუშაობა, რათა მომავალში უკეთესად შეძლოთ მსგავს სიტუაციებთან გამკლავება და/ან თანამშრომლობა სხვებთან (მაგ. ოჯახის წევრებთან, კოლეგებთან, ფსიქოლოგებთან და სხვა სპეციალისტებთან) არასრულწლოვანთა სექსუალური განათლების პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით. მაგ. წარმოვიდგინოთ, რომ ხართ დაწყებითი კლასის დამრიგებელი და ერთ-ერთი მოსწავლე გეკითხებათ თუ რა არის სექსი. რა რეაქცია გაქვთ? საყვედურობთ ბავშვს და ეუბნებით ეს სიტყვა აღარ ახსენოს? (რაც არამიზანშეწონილია!) თუ იბნევით და არ იცით რა პასუხი გასცეთ? (ამაში დამნაშავე არ ხართ). შეგიძლიათ უთხრათ რომ ახლა მის შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ შეგიძლიათ (რაც მისაღებია). ამასთან, მიზანშეწონილია ამის შემდგომ გაესაუბროთ მშობელს ბავშვის მიერ მოცემული საკითხისადმი გამოხატული ინტერესის შესახებ და/ან გაიაროთ კონსულტაცია კოლეგებთან და სპეციალისტებთან (მაგ. ბიოლოგიის მასწავლებელთან, ფსიქოლოგთან).

სექსუალური ძალადობა, მოწყვლადი

ჯგუფები და მათი დაცვა



როგორც წინა თავებში იყო განხილული, სათანადო ინფორმირება არასრულწლოვანთა სექსუალური ძალადობისგან დაცვის ერთ-ერთი სტრატეგიაა. სექსუალური ძალადობის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არასრულწლოვნების, არამედ მათი მშობლების, ოჯახის წევრების, საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები. მოცემული ქვეთავის მიზანია, მოზრდილთა ინფორმირება ისეთ საკითხებზე, რისი ცოდნაც აუცილებელია არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და სწორი რეაგირებისათვის.

დავიწყით ბავშვთა მიმართ ძალადობის ზოგადი განმარტებით:

ძალადობა - ეს არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, მის ჯანმრთელობას და განვითარებას. სექსუალური ძალადობა ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა და გავრცელებული დეფინიციით გულისხმობს,

არასრულწლოვნის გამოყენებას სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და/ან სხვა სახის გამორჩენის მიზნით.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს. მაგალითად, არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობის შესაბამისი ქცევებია:

- ეროტიული ელფერის აღერსი, შეხება;
- თვალთვალი, ინტიმური ადგილების დანახვის მცდელობა;
- პორნოგრაფიული ფოტოების და ვიდეოების გადაღება;
- საკუთარი გენიტალიების/ინტიმური ადგილების დემონსტრირება ბავშვის წინაშე;
- ეროტიული შინაარსის ფილმების, ვიდეოების, პორნოგრაფიული ჟურნალების და რეალური სცენების მიზანმიმართული ჩვენება არასრულწლოვნისთვის;
- გაუპატიურება, გაუპატიურების მცდელობა ან სხვა სახის სექსუალური ქმედების განხორციელება;
- ღია, ასაკისთვის შეუსაბამო დოზით საუბარი სექსზე ბავშვის ინტერესის/ცნობისმოყვარეობის პროვოცირებისთვის;
- პროსტიტუციაში ჩაბმის ხელშეწყობა;
- სექსუალური შევიწროება;
- და სხვა

არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ძალადობა მთელი მსოფლიოს პრობლემაა და გვხვდება ნებისმიერ სოციალურ ფენაში. მკვლევრების თანახმად, ძალადობის რისკები იზრდება ისეთ მოწყვლად ჯგუფებთან, როგორებიცაა:

- მცირეწლოვანი ბავშვები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მოზარდები;

- ბავშვები და მოზარდები, რომლებიც არიან უგულვებელყოფის მსხვერპლი, დეპრივირებული და მათ მიმართ არ ხდება სათანადო ყურადღების გამოჩენა;
- ბავშვები და მოზარდები, რომლებიც სოციალური ან გეოგრაფიული ნიშნით არიან იზოლირებული, ან რაიმე ნიშნით დისკრიმინირებული;
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;
- სახელმწიფო მზრუნველობაში მცხოვრები ბავშვები.

როგორც ემპირიული მონაცემები აჩვენებს, ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ოჯახში, ისე ოჯახის გარეთ. მოძალადე ხშირად ბავშვისთვის კარგად ნაცნობი პიროვნებაა (ახლობელი, ნათესავი და ოჯახის წევრიც კი). ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან როგორც გოგონები, ისე ბიჭები, თუმცა სტატისტიკა აჩვენებს, რომ მდედრობითი სქესი მეტად დგას სექსუალური ძალადობის რისკის წინაშე. არც თუ ისე იშვიათად, სექსუალურ ძალადობას განგრძობითი ხასიათი აქვს და ფარული რჩება გარშემომყოფებისგან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ან სამუდამოდაც კი. ხშირად, ქრონიკული ხასიათი ოჯახში ძალადობას აქვს, რაც წლების მანძილზე გრძელდება.

ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ჯგუფურად, ან ინდივიდუალურად. ამასთან, მართალია, სექსუალური მოძალადეები უმეტესწილად მამაკაცები არიან, თუმცა გვხვდება ქალი მოძალადეებიც. ხშირად მოძალადე თავს იმართლებს იმით, რომ არასრულწლოვანს არ გამოუხატავს წინააღმდეგობა, ან ის იყო ინიციატორი და მისი ქმედების მაპროვოცირებელი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული სიმართლეს შეესაბამება, ეს არ ამართლებს მოძალადეს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვის თანხმობით მოხდა ეს თუ არა. მოზრდილს, ჯერ ერთი, იოლად შეუძლია ბავშვზე ზეგავლენის მოხდენა ტყუილით, ქრთამით, მუქარით, შანტაჟით. და მეორეც, არასრულწლოვნებს არ შესწევთ უნარი სწორად შეაფასონ, გაიაზრონ ამ ქმედებათა მნიშვნელობა და შედეგები და შესაბამისად მიიღონ ცნობიერი, სწორი გადაწყვეტილება მსგავს საკითხებთან მიმართებაში.

სექსუალური ძალადობის დროული იდენტიფიცირება უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ძალადობის შეწყვეტა და სათანადო დახმარება გაეწიოს არასრულწლოვანს. არის შემთხვევები, როდესაც თავად მსხვერპლისგან ხდება სექსუალური ძალადობის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაჟღერება პირდაპირ, ან ირიბად (მაგალითად, საუბრობს ისე, თითქოს მას

კი არა, სხვას შეემთხვა ინცინდენტი). ზოგჯერ მოძალადის გამოაშკარავება სხვა, ფაქტის შემსწრე პირებისგან - სრულწლოვნების ან არასრულწლოვნებისგან ხდება.

რა ხდება მაშინ როდესაც ძალადობის ფაქტს არ ჰყავს მოწმე და არასრულწლოვანიც არ საუბრობს მომხდარის შესახებ? როგორ შეიძლება სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირება?

ამ მხრივ ძალადობის იდენტიფიცირებისთვის საყურადღებოა შემდეგი ინდიკატორები :

- ბავშვთან/მოზარდთან ინტერაქციაში მყოფი პირების საეჭვო ქცევები ბავშვთან მიმართებაში;
- ბავშვის/მოზარდის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, ფიზიკური ნიშნები, სხეულერივი დაზიანებები, გენიტალიების და ანუსის ტრავმები, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და სხვა. ზოგჯერ ძალადობის ნიშნები თვალსაჩინოა, თუმცა უფრო ხშირად სპეციალური სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება ხდება საჭირო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სექსუალურ ძალადობას ყოველთვის არ აქვს ისეთი ფიზიკური ნიშნები, რაც შესამჩნევი გახდებოდა მშობლისთვის, ბავშვზე მზრუნველი პირისთვის, სამედიცინო პერსონალისთვის;
- მკვეთრი ცვლილებები ბავშვის/მოზარდის ქცევით რეპერტუარში, მათ შორის ასაკისათვის შეუსაბამო სექსუალიზირებული ქცევები; სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შეიძლება გახდეს ზედმეტად, „შეზოჭილი“ ან ზედმეტად ცდილობდეს საკუთარი სხეულის დამალვას, ან პირიქით, შეიძლება დაირღვეს „საზღვრები“, ცდილობდეს საკუთარი სხეულის დემონსტრირებას სხვების წინაშე, ზედმეტ ფიზიკურ სიახლოვეს იჩენდეს გარშემომყოფების მხრიდან, ვერ იცავდეს დისტანციას სოციალური ნორმების შესაბამისად;
- ასაკისათვის შეუსაბამო ინფორმირებულობის დონე სექსუალური შინაარსის საკითხებზე;
- მკვეთრი და ნეგატიური ცვლილებები ფსიქო-ემოციური კუთხით, ძილის დარღვევები, ღამის კოშმარები, თვით-შეფასების სირთულეები, შფოთვა და შიშები, დეპრესიის ნიშნები, სუიციდური აზრები და მცდელობები, საკუთარი

სხეულის დაზიანებები, აგრესიული და ისტერიული შეტევები, უნდობლობა და ბრაზი გარშემომყოფების მიმართ და სხვა.

სექსუალური ძალადობის ამოცნობა ადვილი არ არის რამდგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან ფიზიკური ზიანი ყოველთვის არ არის გამოხატული, ხოლო ემოციურ-ქცევითი სირთულეების პროვოცირება სხვა გარემოებებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ამასთან, არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის დამახასიათებელი სპეციფიური, ზუსტად ერთნაირი, უნივერსალური ნიშნები.

საქმე კიდევ უფრო რთულდება მაშინ, როდესაც თავად ბავშვი არაფერს ამბობს. არასრულწლოვანის მხრიდან მასზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის დამალვა შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი გარემოებებით:

- მცირე ასაკის ბავშვები შეიძლება ვერც კი ხვდებოდნენ რა ხდება მათ თავს, სათანადოდ ვერ აცნობიერებდნენ, რომ მათ მიმართ განხორციელებული ქმედება არასწორი, საზიანო და მიუღებელია და შესაბამისად, ინფორმაცია არც მიჰქონდეთ უფროსებამდე; უფრო მეტიც, ზოგჯერ ძალადობრივი ქმედება შეიძლება არათუ უსიამოვნო, არამედ სასიამოვნო განცდებთანაც კი იყოს დაკავშირებული. მაგ. გენიტალიებზე შეხება შეიძლება სასიამოვნო შეგრძნებებს იწვევდეს; ეროტიული კადრების ყურება მოზარდის ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებდეს და სხვ.
- არასრულწლოვანი შეიძლება მიზანმიმართულად მალავდეს ძალადობის ფაქტებს სხვადასხვა მიზეზით. მაგ. მას შეიძლება ეშინოდეს გარშემომყოფების რეაქციის, შეიძლება ხელს აფარებდეს მოძალადეს იმის გამო რომ ის ახლობელი, მისთვის საყვარელი ადამიანია და შესაბამისად, ცდილობდეს თავიდან აარიდოს მსგავსი ქმედებებისთვის დაწესებული სანქციები (მაგ. დაპატიმრება); ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ბავშვი მოძალადეზეა დამოკიდებული და ამიტომ ურჩევნია ხელი დააფაროს, რათა არ დაკარგოს ის (მაგ. თუ ბავშვს არავენ ჰყავს, გარდა მოძალადე ბიძისა, დიდა იმის ალბათობა რომ არ გაამჟღავნოს ბიძის დანაშაული).

- თვითონ მოძალადე ძალიან ხშირად მიმართავს სხვადასხვა სტრატეგიას, რისი გავლენითაც ბავშვი იწყებს მომხდარის დამალვას. მაგ: აშინებს, ემუქრება, აშანტაჟებს, ადანაშაულებს, მოისყიდის, აძლევს დაპირებებს და სხვა.
- არასრულწლოვანი შეიძლება განიცდიდეს სირცხვილს, თავს დამნაშავედ გრძნობდეს და ამის გამო მალავდეს მომხდარს. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით ხშირად იჩენს ხოლმე თავს ისეთ გარემოში, სადაც გარშემომყოფები, როგორც წესი, მსგავსი შემთხვევების არსებობისას ეძებენ მსხვერპლის დამდანაშაულებელ გარემოებებს და მსხვერპლს აღიქვამენ როგორც მომხდარის მაპროვოცირებელს (მაგ. აქცენტს აკეთებენ ე.წ. გამომწვევ ჩაცმულობაზე, თავისუფალ ქცევაზე და ა.შ.).
- არასრულწლოვნის მხრიდან სექსუალური ძალადობის დამალვა შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ ის არ ენდობოდა გარშემომყოფებს, არ ჰქონდეს მათი მხრიდან მხარდაჭერის და შესაბამისი რეაგირების იმედი ან უბრალოდ არ იცოდეს, ვის და რა უნდა უთხრას. ზოგჯერ ბავშვი/მოზარდი იმასაც კი ფიქრობს, რომ არავინ დაიჯერებს მის ნათქვამს.
- ცალკე უნდა გამოვყოთ არასრულწლოვნის კოგნიტური და კომუნიკაციური უნარების დეფიციტი, რომელიც რიგ შემთხვევებში შეიძლება გახდეს სექსუალური ძალადობის გამაშკარავების ერთ-ერთი ძლიერი დამაბრკოლებელი გარემოება.

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, განვითარების დარღვევების, ამა თუ იმ დიაგნოზის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვნები მეტად დგანან სექსუალური ძალადობის რისკის წინაშე.

რა ზრდის აღნიშნულ რისკებს?

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც ამა თუ იმ დიაგნოზის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს უფრო მოწყვლადს ხდის სექსუალური ძალადობის მიმართ:

- შესაძლოა ბავშვს/მოზარდს ნაკლები თავდაცვის უნარი ჰქონდეს;
- თუ ბავშვს/მოზარდს აქვს კომუნიკაციის დეფიციტი, სირთულე, იგი ვერ შეძლებს ძალადობის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სხვისთვის;
- თუ ბავშვის/მოზარდის კოგნიტური შესაძლებლობები მწირია, შეიძლება ვერ ხვდებოდეს რა არის მისაღები და რა მიუღებელი;
- თუ ბავშვი/მოზარდი ფიზიკურად არის სხვაზე დამოკიდებული, მაგალითად თვითმომსახურების/ჰიგიენური პროცედურების შესრულებისას, შეიძლება სხვებმა ბოროტად ისარგებლონ ამით;
- გარშემომყოფები შეიძლება არასათანადოდ აფასებდნენ ბავშვის განვითარების საჭიროებებს, სექსუალობას და შესაბამისად, არ ზრუნავდნენ მის სექსუალურ განათლებაზე;
- შეიძლება უფრო ადვილად ჩამოუყალიბდეს შეუსაბამო სოციალური და სექსუალური ქცევები და ამით გარკვეულწილად მოახდინოს ძალადობის პროვოცირება;

- ბავშვი/მოზარდი, რომელიც შეზღუდვების გამო ვერ ახერხებს სათანადო სოციალურ ინტერაქციას რეალურ ცხოვრებაში და რეალური ურთიერთობები ჩანაცვლებული აქვს ვირტუალური ურთიერთობებით, შეიძლება დადგეს კიბერ-საფრთხეების წინაშე, აღმოჩნდეს კიბერბულინგისა და ბავშვთა პორნოგრაფიის მსხვერპლი;
- თუ ბავშვს/მოზარდს უჭირს სოციალური ნორმებისა და წესების ათვისება, საკუთარი თავის მართვა, იმპულსების კონტროლი, შესაბამისი სპეციალისტების მხრიდან სათანადო ინტერვენციების განხორციელების გარეშე შეიძლება თვითონვე გახდეს სექსუალური მოძალადე, განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში.

რამდენადაც დროული და სათანადო სექსუალური განათლება ითვლება სექსუალური ძალადობის პრევენციისა და დაცვის ერთ-ერთ ძლიერ მექანიზმად, გაზრდილი რისკებიდან გამომდინარე, სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანია რომ სექსუალური განათლება იყოს პროაქტიული და არა რეაქტიული. უშუალოდ სექსუალურ საკითხებზე ბავშვის ინფორმირების გარდა, გარშემომყოფების მხრიდან მუშაობა უნდა წარიმართოს სხვადასხვა დეფიციტური უნარების განვითარებაზე. ამასთან, სექსუალური ძალადობის პრევენციის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- თვითმომსახურების, მათ შორის ჰიგიენის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულების უნარების განვითარება;
- კომუნიკაციური უნარების განვითარება;
- ჯანსაღი ინტერპერსონალური ურთიერთობების წარმოების უნარის განვითარება;
- თვითკონტროლისა და სოციალურად მისაღები ქცევების სწავლება.

რა ვასწავლოთ?	როგორ ვასწავლოთ?
<ul style="list-style-type: none"> ● რა არის ძალადობა ● რას ნიშნავს კარგი და ცუდი შეხება ● რომელი ქცევა არის მისაღები სხვების თანდასწრებით და რომელი არა ● „არას“ თქმა ● ვინ არის სანდო პირი და ვინ არა ● დახმარების მოთხოვნა ● ნეგატიური გამოცდილების სხვისთვის გაზიარება 	<ul style="list-style-type: none"> ● კოგნიტური შესაძლებლობების გათვალისწინებით ინფორმაციის მიწოდება და ახსნა ● ინდივიდუალური სპეციალური სასწავლო პროგრამების შექმნა და განხორციელება ● როლური თამაშები ● რეალური ცხოვრების ეპიზოდების / კონტექსტის გამოყენება ● ვიზუალური მასალების (მაგ.ილუსტრაციები, სპეციალური ბროშურები, ვიდეო-რგოლები და სხვ) და საჭიროებების შესაბამისი სწავლების ტექნიკების გამოყენება.

მიუხედავად მშობლების, აღმზრდელების, მასწავლებლებისა და ა.შ. ძალისხმევისა, სამწუხაროდ, არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია ყოველთვის ვერ ხდება. ამიტომ ასეთი შემთხვევებისთვისაც მზად უნდა ვიყოთ, რათა დროულად მოვახდინოთ ძალადობის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება არასრულწლოვნის დასახმარებლად.

რას გულისხმობს შესაბამისი რეაგირება სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირების შემთხვევაში?

- ძალადობრივი ქმედებების აღკვეთა, მსგავს შემთხვევათა განმეორების პრევენცია. ბუნებრივია, ამისთვის, საჭიროა ბავშვის მოძალადისგან განცალკევება და არსებული რეფერირების პროცედურების გათვალისწინებით თანამშრომლობა შესაბამის ორგანოებთან, რათა დროულად გატარდეს შესაბამისი ზომები როგორც მოძალადის, ისე მსხვერპლის მიმართ. მსხვერპლთან მიმართებაში ხშირად საჭირო ხდება:
- მსხვერპლთა ემოციური მხარდაჭერა გარშემომყოფების მხრიდან. დაუშვებელია მათი დადანაშაულება მომხდარის გამო. გარშემომყოფებს ასევე მართებთ ბავშვის წინაშე აკონტროლონ საკუთარი ნეგატიური ემოციების გამოხატვა, რათა კიდევ უფრო არ დაამძიმონ მისი მდგომარეობა;
- სამედიცინო ჩარევა. შეიძლება საჭირო გახდეს როგორც სადიაგნოსტიკო, ისე სამკურნალო ინტერვენციები საჭიროების შესაბამისად;
- ფსიქოთერაპია. ძალადობის მსხვერპლთათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური დახმარება, რამდენადაც სექსუალურ ძალადობას ხშირად აქვს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ნეგატიური შედეგები ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Boehning A. 2006. Sex Education for students with disabilities. Law and Disorder.
- British Columbia. Ministry of Education. Responding to Children's Problem Sexual Behaviour in Elementary Schools
- CPRI Sexual Behaviour Team, 2015. Sexuality and Developmental Disability: A Guide for Parents.
- Department for Education, Catholic Education South Australia, Association of Independent Schools of South Australia. 2019, Responding to Problem Sexual Behaviour in Children and Young People: Guidelines for staff in education and care settings
- El-Shaileb M., Wurtele S.K. 2009. Parents' Plans to Discuss Sexuality with Their Young Children. American Journal of Sexuality Education.
- Government of South Australia, Department for Education Child Development, 2013. Responding to problem sexual behaviour in children and young people. Revised edition.
- Kenny M.C. et al, 2013. Recognizing and Responding to Young Children's Sexual Behaviors in the Classroom. Young Exceptional Children.
- Lucier-Greer M, Nichols L, Peterson C, Burke B, Quichocho D, O'Neal C, 2019. Problematic Sexual Behavior among Children and Youth: Considerations for Reporting, Assessment, and Treatment
- Murphy N.A., Elias E.R. 2006, Sexuality of Children and Adolescents with Developmental Disabilities. American Academy of Pediatrics.
- National Center on Sexual Behavior of Youth. 2009 Understanding and Coping with Sexual Behavior Problems in Children.

- National Sexual Violence Resource Center. 2013. An overview of healthy childhood sexual development.
- NSPCC, 2019. Harmfull Sexual Behaviour Framwork: An evidence informed operational framework for children and youth displaying harmful sexual behavior.
- Parker, Rachael, Wellings, Kaye and Lazarus, Jeffrey V. (2009)'Sexuality education in Europe: an overview of current policies', Sex Education,9: 3,227 — 242
- Unesco 2009. International Guidelines on Sexuality Education.
- Unesco 2018. International technical guidance on sexuality education.